ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 6 აპრილი, 2021 №57 (8586) ფასი: 60 თეთრი

## სოფლის წყაროზე ძმები მთვრალმა ბიძაშვილმა თოფით დახოცა

პოლიციამ 29 წლის მამაკაცი დააკავა



გვ.5

გვ.5

## რუსთავში გიორგი მღებრიშვილის დაჭრისთვის ნ.ტ. დააკავეს

# „გახარიას უკან ვინც დგას, უკვე ჩანს, კვირიკაშვილის და მარგველაშვილის უკან ოლიგარქი არ დგას“

გვ.3

## სოსო ცინცაძე: ირაკლი კობახიძე დაცვის გარეშე რუსთაველზე გაისეირნებს?!

## „კახა კალაძე „ოცნებიდან“ შეიძლება წამოვიდეს“

გვ.4

სოსო შატბერაშვილი: „დარჩენილი „ქართული ოცნება“ შეიძლება მინიმუმ ორ ნაწილად გაიყოს“

## „საქართველოში ჩინური ვაქცინით ჩინეთის ელჩიც არ იცრება“

გვ.3

ვატო სურგულაძე: „ჰკითხეთ ჯანდაცვის მინისტრს და გამყრელიძეს, რატომ შემოიტანეს ჩინური ვაქცინა? ერთ დოზაში გადავიხადეთ 20 დოლარი, ასტრაზენეკა, ვაქცინა ბრიტანულ-შვედური, ოქსფორდის უნივერსიტეტის მონაწილეობით შექმნილი, ღირს 5 დოლარი“

## გიორგი ბარამიძე: „ელისაშვილი აქციაზე იმიტომ იდგა, რომ ოპოზიცია შიგნიდან გაეხეთქა“

გვ.2

„ცოცხი „ოცნების“ სიმბოლოა, შეუძლიათ გააგრძელონ, მაგრამ რაც მეტად გაწელავენ რეზინას, მით უფრო მტკივნეულად მოხვდებათ ცხვირში“

## სუსმა შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსანი დააკავა

გვ.4

გვ.4 თბილისში ირაკლი ფანგანს სცემეს

## ვოლსკი: „გახარიას საქციელი ჩვენთვის მისაღები არ იყო“

გვ.2

## აფხაზეთი საქართველოა?

### რა უპასუხა პოზნერმა ამ კითხვას

გვ.2

ISSN 1987-9385

4 ირაკლი ქადაგიშვილი: „ოპოზიციას მელია მძევლად ჰყავს აყვანილი“

4 მოსამართლე მაია სვიანაძე აშშ-ში შვილთან საცხოვრებლად გადავიდა

5 „ყაჩაღები რომ შემოვიდნენ, პირველ სართულზე მეძინა“ ფონიჭალაში სახლი გაძარცვეს

6 პუტინს რუსეთის პრეზიდენტობა კიდევ 15 წელი შეეძლება

# გიორგი ბარამიძე: „ელისაშვილი აქციაზე იმიტომ იდგა, რომ ოპოზიცია შიგნიდან გაეხეთქა“

## „ცოცხი „ოცნების“ სიმბოლოა, შეუძლიათ გააგრძელონ, მაგრამ რაც მეტად გაწელავენ რეზინას, მით უფრო მტკივნეულად მოხვდებათ ცხვირში“

იაგო ნაცვლიშვილი

ჩაშლილი მოლაპარაკების შემდეგ ოპოზიცია აპირებს ისევ მიმართოს პარლამენტს მანდატების გაუქმების თაობაზე, ხელისუფლებაში კი ისევ აცხადებენ, რომ მანდატებს არ გაუუქმებენ. მმართველ გუნდში იმასაც აცხადებენ, რომ ოპოზიცია გიგა ბოკერიას და ნინო ბურჯანაძის დღის წესრიგით მოქმედებს, რაც კარგს არაფერს მოუტანს.

ბოლოს და ბოლოს, ვინ მართავს ოპოზიციას, სააკაშვილი თუ ბოკერია-ბურჯანაძე? რით ხსნიან „ოცნების“ გაჯიუტებას და რატომ არ უხსნის ოპოზიციის წარმომადგენლებს საპარლამენტო მანდატებს და გრძნობენ თუ არა კრიზისის ვერ დაძლევაში საკუთარ პასუხისმგებლობასაც? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საუბრობს:

**გიორგი ბარამიძე:**

– ძალიან მარტივია. მას შემდეგ, რაც ივანიშვილი ძალადობით და გაყალბებით შეეცადა ხელისუფლების შენარჩუნებას, ჩამოაყალიბა არალეგიტიმური სტრუქტურა, რომელსაც პარლამენტს ეძახიან. ახლა მათი ამოცანაა, რომ ამას რაიმე ლეგიტიმური ფუნქცია შესძინონ და ვინმე შეიტყუონ პარლამენტში. პირდაპირ შექმნეს ფსევდოოპოზიცია. ინჯია-ზილფიმიანის სახით და ელისაშვილის პარტიიდანაც ორი კაცი შეიყვანეს. როგორც ჩანს, წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ ამაზე და ეს გააკეთეს იმისათვის, რომ როგორმე ლაქა ჩამოირეცხონ.

***– თუ თავიდანვე შეთანხმებულები იყვნენ, მაშინ რატომ იდგა ოპოზიციის აქციებზე ელისაშვილი?***

– იმიტომ, რომ შიგნიდან გაეხეთქა ოპოზიცია. მან ეს ვერ მოახერხა და რეალურადაც საზოგადოების თვალში ეს სტრუქტურა მაინც ერთპარტიული დარჩა და ცდილობენ, რომ თავი დააღწიონ ერთპარტიულობას და უნდათ, რომ სხვადასხვა პარტიაზე ზეწოლა გაგრძელდეს, რომლებიც შეიძლება გარკვეულ პარტიებს წარმოადგენდნენ, რომ გააიოლონ რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და თანამდებობები დაურიგონ და ა. შ. ასეთი სატყუარა გააჩინონ. თუ მარტო ფული და დაშინება არ ეყოფა, მაშინ ასეთი სატყუარებიც შექმნან. ეს არის ამოცანა.

***– ანუ, რეალურად მიდის პოლიტიკური ვაჭრობა ივანიშვილის მხრიდან?***

– არა, პოლიტიკური ვაჭრობა არა, მცდელობა არალეგიტიმური პარლამენტის რაღაცნაირად გამრავალფეროვნების და ბუნებრივად ლეგიტიმაციის შეძენის.

***– „გირჩს“ რომელ ნაწილში მოიაზრებთ, ფსევდოოპოზიციაა ისიც თუ უბრალოდ განსხვავებული აზრი აქვს დანარჩენი ოპოზიციისგან?***

– ეს გამოჩნდება იმის მიხედვით, ვინ როგორ მოიქცევა საბოლოო ჯამში. მარტივად არ არის საქმე, რომ თავიდანვე გაამჟღავნონ ჩანაფიქრები. არ გამოვრიცხავ, რომ გულწრფელი პოზიციები ჰქონდეთ, მაგრამ ამ ეტაპზე ხელისუფლების გასაჟღერებელ გზავნილებს აჟღერებენ. მე ვსაუბრობ ვახო მეგრელიშვილსა და იაგო ხვიჩიას ფრთას, თორემ ზურაბ ჯაფარიძის „გირჩს“ მკაფიო და ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს. მაგრამ ყველაფერი გამოჩნდება და მე არ მინდა, რომ ვინმეს იარლიყები მივაწებო. შედეგიდან გამომდინარე ვსაუბრობ ელისაშვილზე და ასე ვისაუბრებთ სხვებზეც. ნებისმიერი ადამიანი, ვინც დაეხმარება ხელისუფლებას, ცხადია, რომ ფსევდოოპოზიცია იქნება და მის თამაშს ითამაშებს.

***– შალვა პაპუაშვილმა ისიც თქვა, რომ ოპოზიციისთვის არ იქნება კარგი თუ ბოკერიას და ბურჯანაძის დღის წესრიგს გაყვებაო. „ოცნების“ ლოგიკას რომ გავყვეთ, ბოლოს და ბოლოს, ვინ გმართავთ ოპოზიციას – ბოკერია-ბურჯანაძე თუ სააკაშვილი?***

– რატომ უნდა გავყვეთ „ოცნების“ ლოგიკას? მაგათ ასე წარმოუდგენიათ, რომ ვიღაც უნდა გმართავდეს. მონების ლოგიკას არ უნდა გავყვეთ, საღი აზრის ლოგიკას უნდა გავყვეთ. „ნაციონალურ მოძრაობას“ და დანარჩენ ოპოზიციას ხალხისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა გვმართავს და ჩვენი ქვეყნის პასუხისმგებლობის განცდა. ის განცდა, რომ არ შეიძლება მოპარული არჩევნები დაუკანონდეს ივანიშვილს. მათივე გაყალბებული არჩევნებით 52% ეუბნება, რომ ოპოზიციაში უნდა იყვნენ. ეს ისეთი რიცხვია, რომელსაც ვერავინ ვერ გაექცევა. ახლა გვაქვს სიტუაცია, როდესაც ხელისუფლება მიდის მოსახლეობის უმრავლესობის წინააღმდეგ. როდესაც ხელისუფლებაში ჯიუტად რჩება. შესაბამისად, თუ ამას შევეგუებით, ეს ნიშნავს, რომ დანაშაულის თანამონაწილე ვიქნებით. ამიტომ, ნებისმიერ პასუხისმგებლიან ძალას ესმის, რომ ხალხის ნების უგულებელყოფა დანაშაულიც არის და მეორე მხრივ, პრაგმატულადაც მომაკვდინებელია. როდესაც ხალხის ნების წინააღმდეგ მიდიხარ, ხალხი პოლიტიკურადაც გაგებინებს პასუხს, ეს არის პოლიტიკური თვითმკვლელობა.

ამდენი პარტია სხვა საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთს ჭამს და ამ საკითხში გაერთიანებულია, რათა არ დაუშვას ხელისუფლების უზურპაცია. თუმცა, არის სხვა საკითხებიც, რომელშიც გვაქვს საერთო ხედვები მომავალთან დაკავშირებით და იმასთან დაკავშირებით, როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა. იმისათვის, რომ სიღარიბე და უმუშევრობა დავძლიოთ, ჩვენ ქვეყანას სჭირდება ახალი იმპულსი, რომელშიც მთავარი საკითხი სასამართლოში მნიშვნელოვანი რეფორმებია, რამაც უნდა მოიზიდოს ინვესტიციები, რადგანაც ეს შექმნის მეტ ნდობას.

***– ეს სამომავლოდ, მაგრამ დღეს ქვეყანა დგას იმ რისკის წინაშე, რომ დაკარგავს ევროკავშირის დახმარებასაც. არ ფიქრობთ, რომ ხალხი ითხოვს პოლიტიკურ შეთანხმებასაც?***

– კი ბატონო, მოხდეს. ჩვენც ეს გვინდა და ამ სიტუაციიდან ერთადერთი გონივრული გამოსავალი არჩევნების დანიშვნაა. ჩვენთვის ხომ არ ვითხოვთ, ხალხს მიეცეს ეს შესაძლებლობა.

***– თქვენც ხომ გესმით, რომ ამაზე „ოცნება“ არ წამოვა?***

– არ წამოვა და მაშინ უარესად დაენარცხება პოლიტიკურ ფსკერზე და მეტი პასუხისმგებლობა ექნება, როდესაც დაკარგავენ ხელისუფლებას.

***– თქვენ ვერ გრძნობთ პასუხისმგებლობას, მაშინ როდესაც, ევროპარლამენტარები თქვენს პასუხისმგებლობაზეც საუბრობენ? თუმცა, რა თქმა უნდა, მთავარი პასუხისმგებელი „ოცნებაა“ და ამაზე ყველა ვთანხმდებით.***

– რა თქმა უნდა, ვგრძნობთ და იმიტომაც გვაქვს ეს პოზიცია და ამიტომ არ ვაძლევთ

„ოცნებას“, რომ ხელისუფლების უზურპაცია მოახდინოს და ხალხის ნების უგულებელყოფა. ის, რომ „ოცნება“ ცუდად იქცევა, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ და იმ გზას გავყვეთ, რასაც გვთავაზობენ.

***– ორმხრივ კომპრომისებზეა საუბარი.***

– ჩვენი მხრიდან იქნება კომპრომისი თუკი არჩევნები დაინიშნება და პოლიტპატიმრები გათავისუფლდებიან, რომლებიც მძევლები არიან ამ სიტუაციაში. რურუა 8 მარტიდან მოყოლებული ციხეშია და დაარღვიეს ის შეთანხმება, მელია კი მოლაპარაკების მაგიდიდან მოგვპარეს ფაქტობრივად. ეს გააკეთეს გავრილოვის ღამის გაპროტესტებისთვის.

***– გეგმებში კორექტირებას ხომ არ აპირებთ? დაგვიანებული ხომ არ არის ოპოზიციის რეაქცია, როდესაც აქცია 15 მაისს გაქვთ დაგეგმილი და პროცესები დღეს არის?***

– ჩვენ ასე ჩავთვალეთ, რომ კარგად მოსამზადებლად საჭიროა დრო და რომ ამისთვის განსაზღვრულიყო 15 მაისი. რაც შეეხება პატარა აქციებს, პროცესი ამ წუთებშიც გრძელდება პარლამენტთან და ხალხი 14 საათი იქ არის.

***– თუმცა, მასშტაბებია მცირე.***

– ეს უკვე საზოგადოების ნებაზეა დამოკიდებული. თავების თვლა კი არაა მთავარი, არამედ ის, რა პასუხისმგებლობას გრძნობს. იმის ნაცვლად, რომ პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავდნენ, აგერ აქციებს ატარებენ. ამაზე მუშაობს მათი ტვინი. გეგმავენ აქციებს მოგონილი ცოცხების თემის ინსტრუმენტის გამოყენებით. მათი სიმბოლოა ცოცხი. მათ მიერ მოგონილი ბინძური ტყუილის სიმბოლო, რითიც მოვიდნენ ხელისუფლებაში. ეს არის მათი სახე. შეუძლიათ ეს გააგრძელონ, მაგრამ რაც მეტ ხანს გააგრძელებენ, მით მტკივნეულად მოხვდებათ ცხვირში. რეზინასავით არის, რაც მეტად გაწელავენ, მით მეტად მოხვდებათ ცხვირში.

# ვოლსკი: „გახარიას საქციელი ჩვენთვის მისაღები არ იყო“

## სრი: პატრიარქი – 89%, გახარია – 65%, კალაძე – 54%

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (სრი) ახალი კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობას, 89%-ს კათოლიკოს-პატრიარქი მოსწონს.

მეორე ადგილზეა ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, რომელიც გამოკითხულთა 65%-ს მოსწონს, მესამეზე – კახა კალაძე 54%-ით.

ამასთან, გამოკითხულთა 52%-მა დავით ბაქრაძე დაასახელა, 42%-მა – ნიკა მელია, 40%-მა – ბიძინა ივანიშვილი, 39%-მა – „სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე, 36%-მა – დავით უსუფაშვილი, 33-33%-მა – არჩილ თალაკვაძე და ირაკლი კობახიძე, 31%-მა – სალომე ზურაბიშვილი, 29%-ს მოსწონს გიგი უგულავა, 27%-ს – შალვა ნათელაშვილი, 26%-ს – მამუკა ხაზარაძე, 26%-ს – ალეკო ელისაშვილი, 24%-ს ლევან ხაბეიშვილი, 21%-ს – ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, 21%-ს – ირმა ინაშვილი, 20%-ს – ნინო ბურჯანაძე, 17%-ს – ბადრი ჯაფარიძე.

სრი-ს კვლევას პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი გამოეხმაურა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადად მისი და „ქართული ოცნების“ გუნდის დამოკიდებულება გიორგი გახარიას მიერ გადადგმული ნაბიჯის მიმართ მკვეთრად უარყოფითია.

– მას ჩემი პირადი სიმპათია და მთელი გუნდის მხარდაჭერა, გვერდში დგომა გარანტირებული ჰქონდა, რაც პრემიერ-მინისტრის წარმატებისთვის საგანგებოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, როცა საქმე პრინციპულ მომენტზე მიდგა, მისი ქცევა მისაღები არ არის. როგორ აღიქვამს ამას საზოგადოება, არ ვიცი, რადგან ამ პერიოდის კვლევა არ ჩატარებულა. გახარია თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ერთხელ, მოკლე კომენტარით გამოჩნდა და მას ასეთი რეიტინგი ეკრანზე ერთი გაელვებით არ მიუღია, – განაცხადა ვოლსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ისიც აღნიშნა, რომ „გახარია ელექტორატის ხმებს წაიღებს, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხმები იყოს“.

– არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას მიესალმება, – დასძინა გია ვოლსკიმ.

# აფხაზეთი საქართველოა?

## რა უპასუხა პოზნერმა ამ კითხვას

საქართველოში სკანდალური ვიზიტის შემდეგ, „რუსთავი 2-მა“ რუს შოუმენთან, ვლადიმერ პოზნერთან, ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.

**ინტერვიუს უცვლელად გთავაზობთ:**

– თუ მეკითხებით ჩემი საქართველოში ვიზიტის თაობაზე, 3 დღის წინ უკვე დავწერე კიდეც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარებს და ინტერვიუებს არ ვაკეთებ.

***– რატომ, ნაწყენი ხართ?***

– ნაწყენი არ ვარ, უბრალოდ, უკვე ავხსენი, თუ რატომ არ მსურდა ამის გაკეთება. თუ ჩემი განცხადება წაიკითხეთ, თქვენ ეს უნდა გესმოდეთ, თუ არ წაგიკითხავთ, შეგიძლიათ გაეცნოთ ჩემს საიტზე.

***– ამ დრომდე განხილვის საკითხია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. ვიმეორებ კითხვას – აფხაზეთი საქართველოა?!***

– რაც შეეხება თქვენს შეკითხვას იმაზე, აფხაზეთი თუ საქართველოა, პირველ რიგში ეს განცხადება სამი წლის წინ გავაკეთე, არ მესმის, ამას რატომ მიუბრუნდნენ. ვფიქრობ, ამის მიზეზი საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკურ ბრძოლაა.

***– თქვენ ამბობთ, რომ ეს იყო სამი წლის წინ, ამიტომ საინტერესოა თქვენი აზრი ახლა, ყველას აინტერესებს – აფხაზეთი საქართველოა?***

– მე მესმის, რომ ყველას აინტერესებს ამ საკითხზე ჩემი პოზიცია, თუმცა მე არ მაინტერესებს ამაზე საუბარი. პატივს ვცემ თქვენს დაჟინებას, თუმცა უნდა დაგემშვიდობოთ.

***– აფხაზეთი საქართველოა?!***

– რა გინდათ, ყურმილი გაგითიშოთ? მე გითხარით, რომ არ ვაპირებ ამ საკითხის განხილვას.

***– როგორ გაიგებს თქვენს დამოკიდებულებას ქართველი ხალხი?***

– გასაგებად არ ვსაუბრობ?! არ ვაპირებ საკითხის განხილვას!

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი

**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 599-532-690
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოში ჩინური ვაქცინით ჩინეთის ელჩიც არ იცრება“

## ვატო სურგულაძე: „ჰკითხეთ ჯანდაცვის მინისტრს და გამყრელიძეს, რატომ შემოიტანეს ჩინური ვაქცინა? ერთ დოზაში გადავიხადეთ 20 დოლარი, ასტრაზენეკა, ვაქცინა ბრიტანულ-შვედური, ოქსფორდის უნივერსიტეტის მონაწილეობით შექმნილი, ღირს 5 დოლარი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

***– ვატო, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ პანდემიურ ვითარებას? ქვეყანაში შემოვიდა ჩინური ვაქცინა, თუმცა მის მიმართ ნდობა ძალიან დაბალია. საშუალოდ 1000 ადამიანი იცრება დღეში და ეს დაბალი მაჩვენებელია, 3 ათასი მაინც უნდა იყოსო. რას გვეტყვით თქვენ?***

– რა ათასზე და 3 ათასზეა საუბარი, 8 ათასი უნდა იყოს და მერე, ორი თვის განმავლობაში, ეს რაოდენობა უნდა გაორმაგდეს და 16 ათასი უნდა გახდეს. თუ გვინდა, წლის ბოლოს ნორმალური მაჩვენებელი გვქონდეს. ასე ვერაფერს ვერ მივაღწევთ. მინიმუმ 5-6 ათასი აცრა გვინდა დღეში იმისათვის, რომ 2022 წლისთვის მივაღწიოთ ე.წ. იმუნიტეტის ზღვარს, რომ მეტ-ნაკლებად მშვიდად ვიყოთ. ამიტომაც ვაქცინაციის პროცესი ნამდვილად ძალიან დუნედ მიდის. ასე არაფერი გამოვა.

***– ჩინურ ვაქცინაზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება ჩინურ ვაქცინას, მოდით ჯერ ჩვენი ჯანდაცვის მესვეურების ფრაზეოლოგია შევაფასოთ, ალბათ მიიღებს ჯანმო, ალბათ ავტორიზაციას მიანიჭებს ჩინურ ვაქცინას, ალბათ აპრილის თვის შუა რიცხვებში, შეიძლება აპრილის ბოლოში. და რომ არ მიანიჭოს, ხომ არსებობს ამის ალბათობა, რომ არ მიანიჭოს, მერე რას ვუშვრებით ამ ვაქცინას?! გავყიდით?! რატომ ვჩქარობთ ყოველთვის? ჩემთვის ეს ყველაფერი ცოტა რთული გასაგებია.

***– ჯერ ჯანმოს ავტორიზაცია არ მიუნიჭებია და ისე შემოიტანეს?***

– დიახ, ისე შემოიტანეს.

***– გვაჩუქა ჩინეთმა ვაქცინაო.***

– აჩუქა 100 ათასი დოზა, ხოლო მეორე 100 ათასი იყიდეს. ორი ძირითადი ვაქცინაა, ერთი ვიყიდეთ და მეორე გვაჩუქეს. ისიც საკითხავია, რატომ გვაჩუქეს. მსოფლიოში სერიოზული დეფიციტია და მოთხოვნაა ვაქცინებზე. ყველაზე საინტერესო ის იყო ჩემთვის, რომ ჩინეთის ელჩი არ არის ჯერ აცრილი. ეს ჩემთვის მიუღებელია. თუ 100 ათას ვაქცინას ვინმე გჩუქნის, იქნებ ჯერ შენ აცრა შენი დიპლომატიური კორპუსი, რომ პრობლემა არ გქონდეს. ვაქცინა, რომელიც ვიყიდეთ, ერთ დოზაში გადავიხადეთ 20 დოლარი, მაშინ როცა ასტრაზენეკა, ვაქცინა ბრიტანულ-შვედური, ოქსფორდის უნივერსიტეტის მონაწილეობით შექმნილი, ღირს 5 დოლარი.

***– მაშინ რატომ გადავიხადეთ ამდენი ჩინურში?***

– ჰკითხეთ ქალბატონ მინისტრს და ბატონ გამყრელიძეს ამის შესახებ. რატომ გადავიხადეთ ოთხმაგი ვაქცინაში, რომელიც ჯერ ავტორიზებულიც არ არის. ხომ არსებობს იმის ალბათობა, მცირე, მაგრამ ხომ არსებობს, რომ არ მისცენ ავტორიზაცია. საქართველოში არსებობს ძალიან ძლიერი ანტივაქსერული განწყობები და ლეგალურ ვაქცინას არ იკეთებს ხალხი, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ, ჩინური ვაქცინის გასაკეთებლად რომელი ქართველი წავა.

***– წინააღმდეგი ხართ ჩინური ვაქცინის?***

– მე ჩინური ვაქცინის არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს და მინდა ეს ხაზგასმით აღნიშნოთ. უბრალოდ, მე არ ვიცი, ის კარგია თუ ცუდია. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჯანმოს მიერ ის არ არის ავტორიზებული. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ჩვენმა ჯანდაცვის მინისტრმა მადლობა გადაუხადა უნგრეთის მთავრობას, რომელმაც თურმე სინოფარმი ავტორიზაციაში გაატარა. უნგრეთს ასევე ავტორიზებული აქვს რუსული ვაქცინა სპუტნიკ ვექტორი. რატომ არ შემოგვაქვს? სპუტნიკ ვექტორი გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე ეს ჩინური ვაქცინები. თუ ჩვენთვის უნგრეთის აღიარება ასეთი მნიშვნელოვანია, მაშინ შემოვიტანოთ რუსული ვაქცინებიც! გაცილებით იაფია, ვიდრე ჩინური ვაქცინა.

**„მე ჩინური ვაქცინის არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს, უბრალოდ, არ ვიცი, ის კარგია თუ ცუდი“**

***– რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?***

– არანაირი კონსპირაციული და შეთქმულების თეორიის მომხრე არ ვარ, მაგრამ ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება. რაღაცა ახსნა და ლოგიკა ხომ უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს?! რა პრესკონფერენციებიც ამ ჩინურ ვაქცინას მიუძღვნეს, ეს ასტრაზენეკას შემოტანისას უნდა გაეკეთებინათ. უბედური შემთხვევა რომ მოხდა ახალციხეში, აი ამის შემდეგ ქალბატონი მინისტრი უნდა წასულიყო და ახალციხეში აცრილიყო და არა საჩხერეში. მე რომ მინისტრი ვყოფილიყავი, მართლა ასე მოვიქცეოდი, წავიდოდი და ახალციხეში ავიცრებოდი. ვაჩვენებდი, რომ მართლა უბედური შემთხვევა იყო და სხვადასხვა შემადგენელი ჰქონდა ამ უბედურ შემთხვევას. ამ ფონზე უცებ ჩამოდის ჩინური ვაქცინა, რომელსაც ჯერ ვერ გამოვიყენებთ, უნდა დავასაწყობოთ და ველოდებით ჯანმოს. ხომ არის ამის ალბათობა, რომ არ მიიღოს ჯანმომ, მერე რას ვუშვრებით ამ ვაქცინას?! რატომ გადავყარეთ ამხელა ფული?! საუბარია 2 მილიონ დოლარზე!

***– შესაძლოა გაფუჭდეს?***

– დიახ, შესაძლოა გაფუჭდეს. ამ დროს არსებობს ასტრაზენეკა, მართლა ძლიერი და კარგი ვაქცინა, ხარისხის კონტროლს დაქვემდებარებული, ამას არ იკეთებს ხალხი და გავარდება და ჩინურს გაიკეთებს?!

***– რამდენად არის მაღალი რისკი თრომბოემბოლიის, როდესაც ასტრაზენეკაზე ვსაუბრობთ? ამაზეც აქტიურად მიდის საუბარი.***

– ეს არის ფეიკნიუსები, საერთოდ არაფერზე დაფუძნებული ჭორები.

***– რას იტყვით მოსალოდნელ მესამე ტალღაზე, რომლითაც ასე ძალიან გვაშინებენ და რომელიც უკვე დაწყებულია სხვადასხვა ქვეყნებში?***

– მესამე ტალღა მთელ მსოფლიოში წამოვიდა, გაიზარდა დაავადებულთა რაოდენობა. საქართველოშიც უკვე საგრძნობი მატებაა. რას აკეთებს ქვეყანა იმისათვის, რომ ეს ტალღა ნაკლებად მტკივნეული იყოს ქვეყნისათვის. გვესმის მხოლოდ ჯანდაცვის მინისტრის მხრიდან პრეტენზიული ტონით საუბარი, ასევე პრემიერ-მინისტრის მხრიდან, რომ ხალხი აღარ ატარებს ნიღბებს. შენ რას აკეთებ იმისათვის, რომ ხალხმა ნიღბები ატაროს?! შეზღუდვებს ნუ გაამკაცრებ, მაგრამ გაამკაცრე რეგულაციები. აკონტროლე, დააჯარიმე! მე მომხრე ვარ სერიოზული დაჯარიმების, თუ არ ესმის და არ გემორჩილება, უნდა დააჯარიმო. ხელისუფლება ამ მიმართულებით სწორ ნაბიჯებს არ დგამს. თუ სახელმწიფომ არაფერი არ გააკეთა, გვექნება საკმაოდ მძიმე ტალღა. მივიღებთ 2020 წლის შემოდგომის სურათს, რომელიც სრულიად სახელმწიფოს ბრალი იყო, რადგან მან დროულად არ მიიღო ზომები.

***– კიდევ ერთ მკაცრ ჩაკეტვას ჩვენი ეკონომიკა რამდენად გაუძლებს?***

– აი მანდ მივდიოდი ზუსტად. ეკონომიკა ამას ვეღარ გაუძლებს! გაღატაკებულია ქვეყანა. რა დღეშია ჩვენი ეკონომიკა, ყოველდღიური გაღარიბება მიდის და ასე თუ გაგრძელდა, აუცილებლად მივიღებთ სოციალურ აფეთქებას.

***– რა დღეშია ლარი, ყოველდღე უფასურდება.***

– რა დღეშიც ლარია, ზუსტად იმ დღეშია ეკონომიკაც. ყველაფერი გაძვირდა. წამლები როგორ გაძვირდა, სამედიცინო მომსახურება გაძვირდა.

***– სწორედ ეს მინდოდა მეკითხა, კატასტროფულად გაიზარდა ფასები მედიკამენტებზე, ძალიან გაძვირდა სამედიცინო კლინიკებში მომსახურების ფასი. აღარ არსებობს ეს საყოველთაო ჯანდაცვა. რა ქნას ხალხმა?***

– გაიზრდება. როგორც კი ლარის კურსი ვარდება, ფასები ყველაფერზე იმატებს. მარტო 2021 წელს, 65%-ით გაიზრდება ელექტროენერგიის საფასური კლინიკებში. ზუსტად ანალოგიურად წყლის ფასიც. კლინიკას თუ არ უნდა, რომ გაკოტრდეს, ის ფასს გაზრდის.

***– რა მოლოდინი გაქვთ?***

– ძალიან ცუდი მოლოდინი მაქვს. ძალიან დიდი მუშაობა სჭირდება ხელისუფლებას. ჩამოშლილი გვაქვს სახელმწიფო და ეკონომიური კრიზისი, რომელიც ამას დაემატება, აი ჩამოშლა მერე ნახეთ. სანამ ასეთი უპასუხისმგებლო მთავრობა გვყავს ქვეყნის სათავეში, მანამ არაფერი გვეშველება. არც პასუხისმგებლობა გააჩნიათ და არც არაფერი გაეგებათ ქვეყნის მართვის. სანამ ესენი იქნებიან, ჩვენც ამ დღეში ვიქნებით.

# „გახარიას უკან ვინც დგას, უკვე ჩანს, კვირიკაშვილის და მარგველაშვილის უკან ოლიგარქი არ დგას“

ნათია ხურცილავა

სანამ პრემიერის პოსტიდან გადამდგარი გიორგი გახარია გამოჩნდებოდა, ყოფილმა პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ძლიერი მესამე ცენტრის ჩამოყალიბებაზე ისაუბრა. შემდეგ გახარია გამოჩნდა და თქვა, რომ არსად წასულა. ახლა ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომ არ არის გამორიცხული, მარგველაშვილი და ყოფილი პრემიერი კვირიკაშვილი ახალ პოლიტიკურ ძალას ქმნიდნენ და გუნდის წევრებიც კი სახელდებიან.

სწორედ ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე საუბრობს.

**სოსო ცინცაძე:**

– ეს იქნებოდა იდეალური შესაძლებლობა, მაგრამ ჯანსაღი ოპტიმიზმით თუ ვიტყვი, ფინანსური რესურსის პრობლემას ვხედავ. პოლიტიკაში, სამწუხაროდ, დღეს ყველაფერს ფინანსები განსაზღვრავს. სხვა მხრივ იდეოლოგიით, პრინციპებით, პიროვნულ დონეზეც ორივე ადამიანი ძალიან სუფთაა. განსაკუთრებით მარგველაშვილი, რომელსაც წარსულში ვერაფერს მოუნახავენ.

გახარიას, როგორც კი პარტიას შექმნის, იმავე წუთში გაუხსენებენ 20 ივნისს. გაუხსენებენ მაკო გომურს. ახალგაზრდები ისევ გამოვლენ ქუჩაში და ისევ გააპროტესტებენ. ამ შემთხვევაში ვერც მარგველაშვილსა და ვერც კვირიკაშვილს ასეთს ვერაფერს გაუხსენებენ. მართალია მასისთვის პრინციპებისა და ღირებულებებისთვის ბრძოლა ისევ უცხოა, მაგრამ არიან ახალგაზრდები, რომლებიც კომფორმიზმზე უარს ამბობენ.

***– რამდენად შეძლებს ეს ტანდემი მესამე ალტერნატივის შექმნას? მარგველაშვილმა თქვა, რომ მე ვუყურებ კვლევებს და ამის პოტენციალი არსებობს.***

– გასაგებია, მაგრამ გაუჭირდებათ. სერიოზული გარდატეხის მოხდენაზეა აქ საუბარი. გახარიას უკან ვინ დგას, დაზუსტებით არავინ იცის, მაგრამ დიდი ალბათობით უკვე შეიძლება ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მარგველაშვილის უკან რომ დიდი ფული არ დგას, ჯვარზე შემიძლია დაგიფიცოთ. კვირიკაშვილის უკანაც ოლიგარქი რომ არ დგას, ესეც ცხადია.

მიუხედავად იმისა, რომ მე გიორგი მარგველაშვილის დიდი გულშემატკივარი ვარ, მან მომენტი გაუშვა. მას დიდი შანსი ჰქონდა მეორე ვადით ეყარა კენჭი. როგორც ჩანს, მაშინ ჩათვალა, რომ პირობები ჯერ არ იყო მომწიფებული საამისოდ. საერთოდ ფრთხილი, მოზომილი კაცია. ხან „ლელოსთან“ „აქორწინებდნენ“, ხანაც ვისთან, მაგრამ ყოველთვის თავს იკავებდა. მარგველაშვილი ყოველთვის ერიდებოდა პოპულარული გამხდარიყო, პოპულიზმს ერიდებოდა. პოლიტიკა კი პოპულიზმის გარეშე არ არსებობს. გარკვეული დოზით პოპულისტი იყო დეგოლი და თქვენ წარმოიდგინეთ, პოპულისტი იყო ჩერჩილიც. ამ დროს, მარგველაშვილის ერთ განცხადებასაც კი ვერ ვიხსენებ, რომელიც ოდნავ მაინც პოპულისტური შეფერილობის ყოფილიყო. სულ პირიქით იყო, რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა. ყოველთვის თავისუფლების სასარგებლოდ აკეთებდა არჩევანს.

## სოსო ცინცაძე: ირაკლი კობახიძე დაცვის გარეშე რუსთაველზე გაისეირნებს?!

პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკურ მოვალზე ზრუნავს, ასეთი გულახდილი არასდროს არ არის. ასეთ სისუფთავეს, ასეთ ლტოლვას თავისუფლებისადმი, ფასი აქვს საფრანგეთში, მაგრამ არა საქართველოში, სამწუხაროდ.

***– დასავლეთი რამდენად გააკეთებს მათზე ფსონს? გახსოვთ ალბათ, მაიკ პენსმა, სახელმწიფო მდივანმა, გიორგი კვირიკაშვილი ამერიკაში ვიზიტისას სახლში როგორ მიიწვია.***

– დასავლეთის ჩარევას თავისი საზღვრები აქვს. თუმცა, ერთი კია ნამდვილად, გააჩნია, ევროპელები ჩაერევიან თუ ამერიკელები. თუ დანიელსონი იქნებოდა არა შვედი, რაფინირებული დიპლომატი, არამედ ბუში უმცროსი, რომელიც მაგიდაზე მუშტს დაარტყამდა და იტყოდა – უკვე მომბეზრდა, მერწმუნეთ, შეთანხმება ხუთ წუთში დაიდებოდა. როგორც ჩანს, ტეხასელი კოვბოი მაინც სხვაა და ჩვენ სწორედ ამერიკელები გვჭირდებიან. თუმცა, თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, ახლა ამერიკას საქართველოსთვის არ სცხელა. ბაიდენს მხოლოდ ოთხი წელი აქვს და ეს იცის თავადაც და იციან სხვებმაც, ასაკიდან გამომდინარე და სხვა მიზეზითაც. ამ დროს რამდენი რამ უნდა მოასწროს. ტრამპმა, ბაიდენს მტრებთანაც და მოყვრებთანაც ურთიერთობები დასალაგებელი დაუტოვა. ამიტომ, ამ რეალობაში ყველაფერს გადაწყვეტს ფულადი რესურსი და არა გარედან მხარდაჭერა. თუმცა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

***– ბატონო სოსო, დაახლოებით 60%-ს არც ერთი პარტია არ მოსწონს, ის ხომ არის სიახლის მოლოდინში?***

– დიახ, მაგრამ ამომრჩევლის ეს ნაწილი არაფერს არ აკეთებს, რომ ეს სიახლე გაჩნდეს. თავისით ვერ გამოჩნდება მესამე ძალა. თორემ ეს იქნებოდა შესანიშნავი შესაძლებლობა.

***– წინასაარჩევნოდ ალბათ ბევრი პოლიტიკური გადალაგება მოხდება. საინტერესოა, რა ბედი ელის „ქართულ ოცნებას“?***

– მართლაც საინტერესოა, მაგრამ გამოვიდეთ თუნდაც ამ პრიზმიდან: დღეს რუსთაველზე რამდენად გაისეირნებს ირაკლი კობახიძე დაცვის გარეშე?! რაც უფრო უარესდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და რაც უფრო მეტ შეცდომას უშვებს ხელისუფლება, ბუნებრივად ჩნდება შედარებები. პირველ წლებში 6-7 წელი მაინც „ქართული ოცნება“ „სისხლიანი 9 წელი“ – ამ ლოზუნგით არსებობდა. ამით კვებავდა ხალხს და ხალხიც ამბობდა, რომ აღარავის ხოცავენ, აღარავის ართმევენ ქონებას. ახლა, ამ დამოკიდებულებამ უკან გადაიწია და ეს სრულიად ბუნებრივი იყო. მასა, რაც არ უნდა მოხდეს, დღევანდელი დღით ცხოვრობს, მით უფრო ამ დროში, როდესაც პანდემია მძვინვარებს.

**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „კახა კალაძე „ოცნებიდან“ შეიძლება წამოვიდეს“

## სოსო შატბერაშვილი: „დარჩენილი „ქართული ოცნება“ შეიძლება მინიმუმ ორ ნაწილად გაიყოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში გაჭიანურებულ პოლიტიკურ კრიზისზე, ოპოზიციის მოქმედებებზე, მმართველ პარტიაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარეს, სოსო შატბერაშვილს.**

***– გაერთიანებული ოპოზიციაც და „ქართული ოცნებაც“ რეგიონებში აპირებენ გასვლას. რამდენად შედეგიანი შეიძლება იყოს ხალხში სიარული?***

– დავიწყებ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციით. ამ ოპოზიციას ბევრი „ფანჩატურის ოპოზიციას“ ვეძახით. ამ პოლიტიკოსების მიზანი არ არის არჩევნები, არჩევნებისათვის მზადება და ამ გზით რაღაცის მიღწევა. ამათი ამოცანაა თემურ ალასანიას და მისი დისშვილის, მიხეილ სააკაშვილის დავალებების შესრულება, ანუ სახელმწიფო გადატრიალება.

***– ოპოზიცია არ მალავს, რომ რეგიონებში მიდის იმისთვის, რომ მოამზადოს 15 მაისს დაგეგმილი საპროტესტო აქცია თბილისში.***

– საქართველოში რევოლუციების საკითხი შესწავლილი მაქვს. 2003 წლის რევოლუცია ნახევარი მილიარდი დოლარი დაჯდა. მარტო ხალხის ჩამოყვანა ხომ არ არის! ჩამოყვანილი ადამიანები უნდა გამოკვებო, დააბინავო და ა. შ. გარდა ამისა, თუ შტურმია, პარლამენტის შენობა იქნება თუ მთავრობის ადმინისტრაცია, ამასაც რესურსი უნდა. 2003 წელს სააკაშვილსა და სხვა რევოლუციონერებს ჰქონდათ ჯორჯ სოროსის, ასევე ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერა. სააკაშვილს ზურგს უმაგრებდა ჯორჯ ბუში.

***– ახლა რა ხდება?***

– დასავლეთს თავისი პრობლემები აქვს. ბაიდენი დაკავებულია რუსეთთან დაპირისპირებით. თავის მხრივ, რუსეთს სამხედრო კონფლიქტი აქვს უკრაინასთან. თბილისისთვის ყველას ნაკლებად სცალია.

***– თემურ ალასანიას და სააკაშვილის ამოცანებს თუ ასრულებენ, მაშინ დასავლეთს რევოლუციურ გეგმებთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს?***

– 2003 წელს რევოლუციაში სხვებიც ჩაერივნენ, მაგრამ მთავარი მაინც იყო ხალხი. სააკაშვილმა უამრავი ადამიანი ჩამოიყვანა წალენჯიხიდან (მთელი სამეგრელოდან). მოგროვდა 300.000 კაცი. სამეგრელოს მოსახლეობას ჰქონდა ბუნებრივი პროტესტი შევარდნაძის მიმართ. შევარდნაძემ სამეგრელო „მხედრიონს“ ააწიოკებინა. სააკაშვილის დედა რომ ალასანიაა, ამანაც იმუშავა. საქართველოში კუთხურობა ჭრის. გურიაში შევარდნაძე კუთხურობის ნიშნის გამო უყვარდათ. თორემ, მამათში ნამყოფი ვარ და ხიდიც დანგრეული იყო, გზაც და კეთილმოწყობილი ვერაფერი ვნახე. გარდა ამისა, მაშინ საქართველოში სულ ორი-სამი ტელევიზია იყო. ახლა რევოლუცია უფრო ძვირიც დაჯდება.

***– დასავლეთს რომც ეცალოს, ის სააკაშვილის რევოლუციაში (რევოლუციურ სცენარში) რატომ უნდა ჩაერიოს?***

– ოპოზიციის დესტრუქცია არც დასავლეთს მოსწონს და არც ხალხს. დასავლეთი თავიდანვე აკრიტიკებდა ოპოზიციას პარლამენტში არშესვლის გამო. ეს შეცდომა 2008 წელს პირადად მაქვს სხვებთან ერთად დაშვებული. ჩვენ, მაშინდელი ოპოზიცია, პარლამენტში არ შევედით. მაშინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამის მერე ლაგამი აიწყვიტა. ენდიაი, აირაი, საელჩოები გვირჩევდნენ, შევსულიყავით პარლამენტში. ჩვენ ეს არ გავაკეთეთ, რითაც ზიანი მივაყენეთ ქვეყანასაც, ჩვენს ამომრჩეველსაც და პოლიტიკურ კარიერასაც.

## „არა მგონია, გახარიას მომხრეებმა უმრავლესობა დაშალონ“

***– „ქართული ოცნების“ რეგიონებში სიარულზე რისი თქმა შეიძლება?***

– „ქართული ოცნება“ ნამდვილად ემზადება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის და ხალხთან შესახვედრად ივლის.

***– კახი კალაძე გამოვიდა საავადმყოფოდან. ცოტა ხნის წინ, როცა ის კლინიკაში დაწვა, „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ მმართველი პარტიიდან თბილისის მერობის კანდიდატად ისევ მას დაასახელებს. მანამდე კალაძეზე ვრცელდებოდა სხვადასხვა ინფორმაცია. ერთი ვერსიით, ის საქართველოდან წავიდოდა, მეორე ვერსიით, გახარიას გაუამხანაგდებოდა. თქვენ რას იტყვით?***

– ჩემს მოსაზრებას და პროგნოზს შემოგთავაზებთ. არ გამოვრიცხავ, რომ კახა კალაძე მართლაც გაერთიანდეს გიორგი გახარიასთან. მათი ახალი ძალა იქნება ივანიშვილის ფრთებქვეშ. ივანიშვილმა თვითონ გვითხრა, რომ 2024 წლისთვის „ქართულ ოცნებას“ შეცვლის ჯანსაღი ძალა, „ოცნება“ კი ოპოზიცია გახდება.

***– როგორც არ უნდა მოემზადოს ადგილობრივი არჩევნებისათვის, არსებობს ინფორმაცია, რომ გახარიას მომხრეები პარლამენტში დაშლიან პარლამენტის უმრავლესობას და შექმნიან ახალ რეალობას.***

– არა მგონია, გახარიას მომხრეებმა უმრავლესობა დაშალონ. ისინი შექმნიან ფრაქციას. ვფიქრობ, რომ ეს ფრაქცია „ოცნებასთან“ ერთად იქნება უმრავლესობაში.

***– კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ახლანდელი „ქართული ოცნება“ (გახარიას წასვლის შემდეგ დარჩენილი პარტია) ორად გაიყოფა.***

– დედამიწაზე მუდმივი არაფერია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მონოლითური ორგანიზმი იყო, მაგრამ ისიც დაქუცმაცდა. ეს პარტია ჯერ კიდევ ლენინის, შემდეგ სტალინის გარდაცვალების, ასევე ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ განიცდიდა სახეცვლილებას. შეიძლება „ქართული ოცნება“ რამდენიმე პარტიადაც კი დაიშალოს. გახარიას წასვლის შემდეგ დარჩენილი „ოცნება“ შეიძლება, მინიმუმ ორ ნაწილად გაიყოს. უბედურება ისაა, რომ „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ყოფილი თუ

პორტირებული ნაციონალია. ერთხელ პარლამენტის სხდომაზე ნიკა მელიამ უმრავლესობას მიმართა, თქვენ რომ გიყურებთ, ნაცმოძრაობის ფრაქციის სხდომაზე მგონია თავიო. მელიას ამაში ვეთანხმები. ქართულ პოლიტიკაში არსებობენ ფლუგერები. ისინი იქით იხრებიან, საითაც ქარი დაუბერავს. კახა ოქრიაშვილი ადრე ნაციონალებთან იყო, შემდეგ – „ქართულ ოცნებასთან“ გადმოვიდა, მოგვიანებით, ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ ფლანგზე გადაინაცვლა.

***– საგარეო ძვრების გარდა, ქვეყანაში პრობლემები მწვავდება. ხალხს, რომელიც საჯარო სექტორში არ მუშაობს, გაზაფხულზე უკიდურესად გაუჭირდა. იმას თუ მოახერხებს ხელისუფლება, რომ ხალხი შიმშილით არ დაიხოცოს?***

– მდგომარეობა მძიმეა. ამას ემატება ვაქცინაციის ფაქტობრივად ჩავარდნა. ძალიან მძიმე შემთხვევა მოხდა – აცრის შემდეგ დაიღუპა ახალგაზრდა, ჯანმრთელი, მშვენიერი ქალი. როცა ეკონომიკა ამოსაწევია, როცა ვაქცინაცია ვარდება, ხელისუფლებას უაზრო კამათისთვის არ უნდა ეცალოს. ხელისუფლების ადგილზე, თავს დავანებებდი კინკლაობს ნაციონალურ მოძრაობასთან, ოპოზიციის მიპატიჟებას პარლამენტში და ეკონომიკას მივხედავდი. ეს იქნებოდა „ქართული ოცნებისათვის“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების, ხალხის გულის მოგების და „ფანჩატურის ოპოზიციის“ დამარცხების საწინდარი. ახლოვდება 7 აპრილი – ხარება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენს გაზეთს, ასევე მის მკითხველს მივულოცო ეს დიდი რელიგიური დღესასწაული.

# მოსამართლე მაია სვიანაძე აშშ-ში შვილთან საცხოვრებლად გადავიდა

გუშინ, 5 აპრილს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა ფეისბუქში დაწერა:

„ერთ-ერთმა მოქმედმა მოსამართლემ (მაია სვიანაძემ) შვებულება აიღო, შვილთან წავიდა აშშ-ში და დარჩა. იქიდან გამოუგზავნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განცხადება და მოითხოვა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება. ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიუღია და ფორმაც სრულიად შესაფერისი ამ სისტემაში.

დავამატებ, რომ მაია სვიანაძე იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოსამართლის თანამდებობიდან დღეს გათავისუფლდა“.

გუშინვე საღამოს მაია სვიანაძემ განცხადება გააკეთა.

– შვებულებაში ვიყავი და უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე შემდგომ განცხადება დავწერე. გადაწყვეტილი მქონდა, რომ შვებულების მერე უფლებამოსილება შემეწყვიტა, – უთხრა მაია სვიანაძემ პალიტრანიუსს.

მან თქვა, რომ საქმეები გადააბარა.

– შვებულებაში გავედი, მაგრამ ყველაფერი დავტოვე წესრიგში, რომ შემდეგ პრობლემები არ შექმნილიყო. ამერიკაში არალეგალად არ დავრჩი, იმიტომ, რომ უკვე 16 წელია, ჩემი შვილი აქ, ცხოვრობს. ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში მუშაობს. „ოჯახის გაერთიანება“ მაქვს გაკეთებული და არალეგალურად არ დავრჩენილვარ. შვილთან წავედი საცხოვრებლად. სხვა მიზეზი ნამდვილად არ ყოფილა, უბრალოდ, შვილთან გადავედი საცხოვრებლად, იმიტომ, რომ აქ მყავს ოჯახი, შვილი და ორი შვილიშვილი. ამ ეტაპზე ასე გადავწყვიტე, რომ საცხოვრებლად აქ წამოვსულიყავი.

ეს დიდი ხნის გადაწყვეტილი მქონდა, დღეს და გუშინ არ გადამიწყვეტია, – დასძინა ყოფილმა მოსამართლემ.

მაია სვიანაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ 2017 წლის მაისში დაინიშნა. 2017 წლის ოქტომბრიდან ის თანამდებობაზე უვადოდ გამწესდა.

# სუსმა შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსანი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ მომსახურების სამმართველოს უფროსი დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2021 წლის 4 მარტს საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ შევიდა დიდი ბრიტანეთის მიერ ძებნილი და ინტერპოლის სამდივნოს ერთიან ბაზაში გატაცებულად რეგისტრირებული სამი ერთეული ავტომანქანა.

მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების სამმართველოს უფროსისთვის ცნობილი იყო ინფორმაცია ძებნილი ავტომანქანების შესახებ, 2021 წლის 9 მარტს, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და პირადი მოტივით, უგულებელყო ავტომანქანების შეჩერებისა და სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულება, სატრანსპორტო საშუალებები საქართველოს საბაჟო საზღვარზე დაადეკლარირა იმპორტის რეჟიმში და გადასცა დაინტერესებულ პირებს, რითაც ხელი შეუწყო ძებნილი ავტომანქანების თავისუფალ ბრუნვაში მოქცევას და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შემდგომ გასხვისებას.

გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

# ირაკლი ქადაგიშვილი: „ოპოზიციას მელია მძევლად ჰყავს აყვანილი“

– გააგრძელებს თუ არა ვინმე მოლაპარაკებას – არჩევანი გასაკეთებელი აქვთ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც 6 თვეა ვერ გარკვეულან, საით არიან, საქართველოსკენ არიან, ეშმაკისკენ, თუ რუსეთისკენ, ქვეყნის სტაბილური განვითარება უნდათ თუ დესტაბილიზაცია.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

– ოპოზიციის ძალიან რადიკალური ფრთა არანაირად არ არის თანახმა არანაირი შეთანხმების მიღწევაზე. მათი სურვილი არის ერთადერთი, რომ ხელისუფლების ცვლა მოხდეს არალეგიტიმური გზით, მათი კარნახით ჩატარდეს ე.წ. რიგგარეშე არჩევნები, რასაც მხარს არ უჭერს არავინ, არც ქვეყნის შიგნით, არც ქვეყნის გარეთ. ამიტომ დანარჩენი საკითხები მათთვის არის უინტერესო.

დოკუმენტი, რომელიც ევროპულმა მედიაციამ დადო, მათთვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა, „კოჭლიც“ უწოდეს და დააფიქსირეს, რომ არც რურუაა მთავარი, მელია ხომ საერთოდ, მძევლად ჰყავთ აყვანილი. არავის გამოშვება მათთვის მთავარი არ არის, მთავარი არის ხელისუფლების შეცვლა, ამისთვის ისინი ყველანაირი დესტაბილიზაციის გეგმას მიმართავენ.

არჩევანი გასაკეთებელი აქვთ ამ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც 6 თვეა ვერ გარკვეულან, საით არიან, საქართველოსკენ არიან, ეშმაკისკენ, თუ რუსეთისკენ, ქვეყნის სტაბილური განვითარება უნდათ თუ დესტაბილიზაცია. ეს ყველაფერი აღრეულია მათ პოლიტიკურ აზროვნებაში, მოვუწოდებ, რომ ჩამოყალიბდნენ, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

## თბილისში ირაკლი ფანგანს სცემეს

თბილისში ირაკლი ფანგანს სცემეს.

ოპოზიციონერ აქტივისტს 4 აპრილს გვიან ღამით, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გაუსწორდნენ.

ფანგანი სწორედ ის პიროვნებაა, რომელმაც ბათუმში, დეპუტატ ირაკლი ჩავლეიშვილს, რამდენიმე თვის წინ, თავზე ნაგავი დააყარა. დაშავებული ინციდენტს მის საპროტესტო აქციებში მონაწილეობასა და ბათუმში მომხდარ ფაქტს უკავშირებს. ირაკლი ფანგანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა, საიდანაც კვლევების ჩატარების შემდეგ, ხელწერილის საფუძველზე გაეწერა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

აქტივისტი გამოკითხვაზე პოლიციაში იმყოფებოდა.

# რუსთავში გიორგი მღებრიშვილის დაჭრისთვის ნ.ტ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ტ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 4 აპრილს, ქალაქ რუსთავში, თავის საცხოვრებელი ბინის კორპუსის ეზოში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეზობელს – 1978 წელს დაბადებულ გ.მ.-ს ქვედა კიდურის არეში ცივი იარაღის გამოყენებით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

# „ყაჩაღები რომ შემოვიდნენ, პირველ სართულზე მეძინა“

## ფონიჭალაში სახლი გაძარცვეს

5 აპრილს დილით ფონიჭალაში საცხოვრებელი სახლი გაძარცვეს. წაღებულია ოქრო და ფული.

ოჯახის წევრები, რომლებიც შემთხვევის დროს სახლში იმყოფებოდნენ, ნიღბიანებმა გაკოჭეს.

ერთი ადგილობრივის თქმით, იმ დროს სახლში 2 ქალი იყო, რძალი და დედამილი. წაღებულია 10.000 ლარი.

მამაკაცი კი, რომელიც ძარცვის დროს სახლში იყო, ტვ პირველთან იხსენებს:

– არ მახსოვს, რამდენი ყაჩაღი იყო, ბევრნი იყვნენ. შემთხვევის დროს ქვედა სართულზე მეძინა. ქალებს ზედა სართულზე ეძინათ, წაღებულია ფული და ოქრო.

გამოძიება 179-ე, ყაჩაღობის მუხლით დაიწყო.

# ბათუმის გეზში არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს

გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „ბათუმი“, ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილი წინასწარ დეკლარირებული ტვირთის ვეტერინარული კონტროლის პროცედურების განხორციელების შედეგად, დეკლარირებულ და საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე რეალურად შემოტანილ საქონელს შორის შეუსაბამობა დაფიქსირდა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, წარდგენილ დეკლარაციაში, არასწორად ასახულმა სასაქონლო ოპერაციის საერთო საბაჟო ღირებულებამ 10064 ლარი შეადგინა.

როგორც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში აღნიშნავენ, საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, იმპორტიორი კომპანია სანქციის სახით, 10064 ლარით დაჯარიმდა.

# დედა დაიღუპა, 1 შვილი მძიმედაა

## ოზურგეთში ჰიუნდაი ბოძს შეასკდა

ოზურგეთში მომხდარ ავარიას ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევა გუშინ, 5 აპრილს, აღმაშენებლის ქუჩაზე მოხდა.

მაღალი სიჩქარით მოძრავი ჰიუნდაის მარკის ავტომობილის ქალმა მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ელექტრობოძს შეეჯახა. მანქანაში დედა ორ მცირეწლოვანთან ერთად იმყოფებოდა.

შემთხვევის შედეგად ქალი გარდაიცვალა, ხოლო ბავშვები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკა „მედალფაში“ გადაიყვანა. ერთ-ერთი მცირეწლოვანის მდგომარეობა მძიმეა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ვაჟა-ფშაველაზე 2 მანქანა დაეჯახა ერთმანეთს

## 2 ადამიანი დაშავდა

თბილისში ავარიის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა.

შემთხვევა 4 აპრილს გვიან ღამით ვაჟა-ფშაველას გამზირზე მოხდა. ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა საავადმყოფოში გადაიყვანა, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

რა გახდა ავარიის გამომწვევი მიზეზი, უცნობია. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# დედამ 14 წლის სანდროს თვითმკვლელობის შესახებ ფეისბუქში გაიგო

14 წლის ბიჭმა თავი მოიკლა, მომხდარი ტრაგედიის შესახებ კი დედამ ფეისბუქში გაიგო.შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა. მომხდარის შესახებ ინფორმაციას იმ სკოლის ფეისბუქგვერდიც ადასტურებს, სადაც გარდაცვლილი სწავლობდა.

„თავზარდამცემი ამბავი, რომლის დაჯერება ყველას გაუჭირდა; ყველას, ვინც იცნობდა სიცოცხლითა და ხალისით სავსე ბიჭს, რომელმაც დაგვიტოვა დიდი ტკივილი და ამოუცნობი სევდა, სევდა ნაადრევად გაფრენილი სიცოცხლისა.

სანდრო, ვინ იცის, რამდენი ფიქრი და ოცნება გქონდა, რატომ გამოაკლდი შენს თანატოლებს? დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ შენს ოჯახსა და ახლობლებს. ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვები უძლურია იმ დიდი მწუხარების გამოსახატად, რაც მარადისობაში შენმა გადასვლამ გამოიწვია.

ყოველთვის გვემახსოვრები, სანდრო!“ – წერია სკოლის ფეისბუქგვერდზე.

# სოფლის წყაროზე ძმები მთვრალმა ბიძაშვილმა თოფით დახოცა

## პოლიციამ 29 წლის მამაკაცი დააკავა

4 აპრილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში ორი ძმა მოკლეს.

34 და 35 წლის ძმები სოფლის წყაროზე იყვნენ, როდესაც მათთან ნასვამი ბიძაშვილი მივიდა, რომელმაც ძმები სანადირო თოფით მოკლა.

როგორც ადგილობრივები „კურიერთან“ საუბრისას აცხადებენ, 29 წლის მამაკაცი პოლიციას თვითონ ჩაბარდა. თუმცა ამ ინფორმაციას შსს ოფიციალურად არ ადასტურებს.

– ძმებიდან ერთ-ერთი დაჭრის შემდეგ საშველად წავიდა, მამიდა, მიშველეო.... იმან დაგვჭრაო, რომ გამოვიდა მამიდამისი, ხელები სისხლიანი ჰქონდა, ჩვენ რომ მივედით.

დააკავეს, ჩაბარდა. თვითონ ჩაბარდა, იმ წუთას იქ არ იყო, მაგრამ მერე მოვიდა და ჩაბარდა. სად წავა, ვის გაექცევი ახლა, – განაცხადა „კურიერთან“ საუბრისას ადგილობრივმა.

დანაშაულის ერთ-ერთ მიზეზად საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტი სახელდება, თუმცა სოფელ რიონში იმასაც ამბობენ, რომ ნათესავებსა და მეზობლებს ერთმანეთში არანაირი დაპირისპირება არ ჰქონიათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ღ.მ. ცხელ კვალზე დააკავეს.

მას ბრალად დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი 2 პირის განზრახ მკვლელობა ედება. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 4 აპრილს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შედეგად, თავის ნათესავ ძმებს – 1984 წელს დაბადებულ ა.მ.-სა და 1985 წელს დაბადებულ ა.მ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ორივე მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ღ.მ., მომხდარიდან რამდენიმე საათში ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში 2 ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# თბილისსა და ბათუმში 2 კომპანიის ხელმძღვანელები პასუხისგებაში მისცეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების ორი ფაქტი გამოავლინეს და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ორი კომპანიის ხელმძღვანელი მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში მოქმედი კომპანიების ხელმძღვანელები, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, სისტემატურად ახდენდნენ შემოსავლების არასწორ დეკლარირებას და სათანადოდ არ იბეგრებოდნენ შესაბამისი გადასახადებით, რითაც თავს არიდებდნენ დიდი ოდენობით გადასახადის გადახდას.

საგადასახადო შემოწმებების შედეგად, ერთ შემთხვევაში, გადამხდელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 426.711 ლარი, მათ შორის, ძირითადი გადასახადი 281.123 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 168.009 ლარი, მათ შორის ძირითადი გადასახადი 111.667 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

# მთაწმინდაზე მამაკაცის ცხედარი იპოვეს

3 აპრილს მთაწმინდაზე, თუმანიანის ქუჩაზე, მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

ადგილობრივების ინფორმაციით, გარდაცვლილს არ იცნობენ. რა გახდა სიკვდილის მიზეზი, უცნობია.

# რუსთავში 55 წლის შვილმა 90 წლის მამა დაჭრა

რუსთავში შვილმა მამა დაჭრა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ძველ რუსთავში 55 წლის შვილსა და 90 წლის მამას შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა. სიტყვიერი დაპირისპირება კი მამაკაცის დაჭრით დასრულდა. შვილმა მამას ჭრილობები წვივის არეში მიაყენა.

დაჭრილი ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

პოლიციამ 55 წლის მამაკაცი შემთხვევის ადგილზე დააკავა. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს.

# ისნის მეტროში მამაკაცი გარდაიცვალა

2 აპრილს ისნის მეტროსადგურში შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა. ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადები, რომლებმაც მას გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შემთხვევა 2 აპრილს, დილის 10 საათზე მოხდა. რა გახდა მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი, ამ დროისთვის უცნობია, თუმცა, არსებული ინფორმაციით, მას გულ-სისხლძარღვთა პრობლემები ჰქონდა.

ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## ისრაელში ნეთანიაჰუს სასამართლო დაიწყო

ისრაელში, იერუსალიმის სასამართლოში პრემიერ-მინისტრ ბანიამინ ნეთანიაჰუს წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო.

კორუფციისა და თაღლითობის ბრალდებით პრემიერის წინააღმდეგ პროცესი უკვე მესამედ მიმდინარეობს.

2020 წლის 28 იანვარს ისრაელის გენერალურმა პროკურორმა ბენიამინ ნეთანიაჰუს წინააღმდეგ საბრალდებო დასკვნა იერუსალიმის სასამართლოს წარუდგინა.

სასამართლო პროცესის განხილვა რამდენჯერმე გადაიდო, რისი მიზეზიც კორონავირუსის პანდემია და ქვეყანაში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნები გახდა.

პრემიერ-მინისტრს გამოძიება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, თაღლითობასა და კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობას სდებს ბრალად.

ნეთანიაჰუ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

## პუტინს რუსეთის პრეზიდენტობა კიდევ 15 წელი შეეძლება



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას კიდევ ორჯერ მისცემს.ახალი კანონი მოქმედ და ყოფილ პრეზიდენტებს თანამდებობაზე ყოფნის ვადებს უნულებს.

აქედან გამომდინარე ვლადიმერ პუტინსა და დიმიტრი მედვედევს რუსეთის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების საშუალება კიდევ 2-2 ვადით ექნებათ. პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტის პოსტზე დარჩენას 2036 წლამდე შეძლებს.

შეგახსენებთ, ვლადიმერ პუტინი რუსეთის პრეზიდენტის პოსტს 1999 წლიდან იკავებს. 2008-2012 წლებში, დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობის დროს, მას პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა.

## საპარლამენტო არჩევნები ბულგარეთში პრემიერის პარტიამ მოიგო

ბულგარეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. პირველ ადგილზეა პრემიერ ბოიკო ბორისოვის პარტია „გერბი“. მან ხმების 25% დააგროვა. მეორეზეა სოციალისტური პარტია (17%); მესამეზე შოუმენ სლავი ტრიფონოვის პარტია „არის ასეთი ხალხი“ (15%). პარლამენტში მოხვედრის შანსები აქვთ თურქების პარტიას და ულტრამემარჯვენე ბულგარეთის ნაციონალურ მოძრაობას.

პარტია „გერბი“, სავარაუდოდ, ლიდერობას შეინარჩუნებს, მაგრამ დამოუკიდებლად მართვა გაუჭირდება.

პრემიერი ბორისოვი კოალიციისთვის პარტნიორს მოძებნის.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### ქალეიდოსკოპი

## ავტობუსის მძღოლისთვის შეფურთხებამ მამაკაცს თავი ციხეში ამოაყოფინა

ლონდონის მკვიდრმა 18 კვირით ამოყო თავი ციხეში იმის გამო, რომ კამათის დროს ავტობუსის მძღოლს შეაფურთხა.

აღნიშნული ინციდენტი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 13 თებერვლის დილას მოხდა. 44 წლის ბრიტანელი ავტობუსში ავიდა და მგზავრობის საფასურის გადახდაზე უარი განაცხადა. მას შემდეგ, რაც მძღოლმა მას შენიშვნა მისცა, მისი ქცევა აგრესიული გახდა, შემდეგ კი სამედიცინო დამცავი ნიღაბი მოიხსნა და მძღოლს შეაფურთხა.

დამცავი მინის წყალობით, რომელიც მძღოლის კაბინას ავტობუსის სალონისგან გამოყოფს, მძღოლი არ დაშავებულა. მას შემდეგ, რაც შეურაცხმყოფელი მამაკაცი ავტობუსიდან ჩავიდა, მძღოლმა მისი ნერწყვის ნიმუშები მინიდან აიღო და პოლიციაში მიიტანა.

ამ ინციდენტიდან თვე-ნახევარში სამართალდამცავებმა მაიკლ აიდუ დააკავეს. მან სასამართლოში დანაშაული აღიარა. მას, საპატიმრო სასჯელის გარდა, ასევე დაზარალებულისთვის კომპენსაციის სახით 128 ფუნტი სტერლინგის გადახდა დაეკისრა.

## ტუჩა-დათვმა ხუთი ადამიანი დააშავა და მიიმალა

ინდოეთის კარნატაკის შტატის ქალაქ ბანგალორის შემოგარენში ტუჩა-დათვმა დაახლოებით ორ საათში მინიმუმ ხუთი ადამიანი დააშავა.

მტაცებლის თავდასხმა ადამიანებზე 30 მარტს, დაახლოებით ღამის სამ საათზე დაიწყო და დილამდე გაგრძელდა. ცხოველი, რომელიც დათვების ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო სახეობად ითვლება, თავს დაესხა იმ ადამიანებს, რომლებიც გარეთ რაიმე საჭიროების გამო გამოვიდნენ ან ფერმაში მუშაობდნენ. ორმა დაშავებულმა სერიოზული დაზიანებები მიიღო და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია მტაცებელი ცხოველის გადაადგილების თაობაზე, როდესაც ის ჩანდაპურის მახლობლად შენიშნეს, – განაცხადა ადგილობრივი სატყეო მეურნეობის წარმომადგენელმა, – ჩვენი თანამშრომლები შემთხვევის ადგილისკენ გაემართნენ და დათვი შეტახალის რაიონში აღმოაჩინეს. ის მათზე თავდასხმას შეეცადა, მაგრამ მათ გაქცევა მოასწრეს. ამის შემდეგ დათვი ვეღარ ვნახეთ, თუმცა მისი ძებნა გრძელდება.

## აგრესიული რვაფეხა ყოფილ მაშველს თავს დაესხა

ავსტრალიის ქალაქ დანსბოროს სანაპიროსთან უზარმაზარი აგრესიული რვაფეხა მოცურავეს მიეპარა და საცეცებით კისერში ჩააფრინდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა. 34 წლის ყოფილმა მაშველმა ლანს კარლსონმა აგრესიული რვაფეხა იმ დროს შენიშნა, როდესაც სანაპიროზე თავის ორი თვის გოგონასთან ერთად სეირნობდა. მან ზღვის არსება ვიდეოზე გადაიღო და წავიდა. 20 წუთის შემდეგ მამაკაცი საცურაოდ ჩასაყვინთი მოწყობილობით წავიდა და დახვავებულ ნიჟარებს შორის იგივე რვაფეხა შენიშნა.

მოულოდნელად ავსტრალიელმა იგრძნო, რომ რაღაცამ ხელში ჩასცხო, რის შემდეგაც კისრის არეში წვა იგრძნო. დაორთქლილი წყლის სათვალეების გამო მან ვერ მოახერხა იმის გარჩევა თუ რა ხდებოდა და ამიტომ გადაწყვიტა, სასწრაფოდ წყლიდან ამოსულიყო. ხმელეთზე ამოსვლის შემდეგ მან საკუთარ კანზე სიწითლეები შენიშნა.

კარლსონმა მეუღლეს სთხოვა, კოლათი დაემუშავებინა რვაფეხას მიერ კანზე მიყენებული დაზიანებები, რათა ანთებითი პროცესი არ გამოწვია. მისი თქმით, სასმელმა მაშინვე ჩააცხრო ტკივილი. ავსტრალიელს უჭირს იმის თქმა, თუ რომელი სახეობის რვაფეხას თავდასხმის ობიექტად იქცა.

### საზოგადოება

## ანზორ ერქომაიშვილი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს

ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. სამოქალაქო პანაშვიდები სამების ტაძარში გაიმართა, სადაც შემოქმედთან გამოსამშვიდობებლად მივიდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მთავრობის წევრები, ლოტბარის კოლეგები, მეგობრები, მოსწავლეები და რიგითი მსმენელები.

ანზორ ერქომაიშვილი სამების ტაძრიდან უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს.

**თამრიკო ჭოხონელიძე,** მომღერალი:

– ტკივილი განმიახლდა. 2004 წლიდან დღემდე მოუშუშებელი ტკივილი თავიდან მეტკინა. მას მამაჩემის სურნელი ჰქონდა. ისინი ხომ სიყრმის მეგობრები იყვნენ. მამას მსგავსად იცოდა ჩემი გულთან მიკვრა და ასე დიდხანს ყოფნა. მეც გარინდული ვიყავი და არ მინდოდა ეს წამები შეწყვეტილიყო, ვგრძნობდი, მამა იყო ჩემთან. დღეს აღარც ეს მაქვს. რამდენი დააკლდა მას, ვინც ერთხელ მაინც არ შეხვედრია ჩვენი ერის სიამაყეს, ჩვენი უდიდესი საგანძურის ღირსეულ პატრიოტსა და მოამაგეს, ნამდვილ ერისკაცს, ადამიანს, რომელიც უშურველად გასცემდა სითბოს, სიყვარულს, ცოდნას და გასწავლიდა, როგორ დაგეფასებინა ეს დიდი საუნჯე და არავისთვის დაგეთმო. იმიტომ, რომ ის შენი იყო, შენი განძი და მას პატრონობა სჭირდებოდა. ჰოდა, აღზარდა კიდეც არაერთი ღირსეული თაობა. არ იცოდა თქმა, მაგრამ ხედავდა მისი მოღვაწეობის შედეგს და ამით ბედნიერი იყო.

ის ჩვენი ერის სამუდამოდ, დიდი სიყვარულითა და სიამაყით აწ უკვე სამუდამოდ დამკვიდრებული სახელია! ანზორ ერქომაიშვილი! და მაინც, ის ჩემთვის სხვა იყო კიდევ. ის ჩემი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის ანზორი ბაბუ იყო და ასე დარჩება! მომავალ ბედობის დღეზე უკვე მეფიქრება. გპირდებით, არ დავარღვევ იმ ტრადიციას, რომელიც მეც და თქვენც ასე გვიყვარდა. ცოტა თუ შემაგვიანდებოდა ჩემი ოჯახით მისვლა, არ მოდიხარო? მეხმიანებოდით. აბა, როგორ არ მოვიდოდი, თქვენი სახლი ხომ ზეიმი იყო ჩვენთვის! იმიტომ, რომ თავად თქვენ და ლალი იყავით ზეიმი! რა ძნელი იქნება იმ სახლში მისვლა, სადაც აღარ ჩამეხუტებით. მაგრამ მაინც მოვალ, რადგან მჯერა, დამხვდებით თქვენი სითბოთი, ღიმილით, იქ ხომ ყველაფერი თქვენს თავს გამახსენებს და მაინც როგორ მომენატრებით. მადლობა თქვენ არსებობისათვის! ქედს ვიხრი თქვენი პიროვნების, თქვენი ერისკაცობის წინაშე! და მაინც, თქვენ ჩვენი ანზორი ბაბუ ხართ! მიყვარხართ!

**სვიმონ ჯანგულაშვილი,** სამების მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი:

– ჩვენ ვიმყოფებით საკრალურ ადგილზე. სვეტიცხოველთან, დიდგორთან, გელათთან, ჭყონდიდთან თუ ოშკთან ერთად, ეს ერთ-ერთი ყველაზე წმინდა ადგილია საქართველოში და დედამიწაზე. და ამ ადგილის მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისათვის, ჩვენი კულტურისათვის განუზომლად გაზარდა ღვთაებრივმა ილია მართალმა, როდესაც ეს ადგილი აირჩია ეროვნულ პანთეონად და აქ დიმიტრი ყიფიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი დაკრძალა. და, აი, აქ, ამ ადგილზე, სადაც განისვენებენ დიდი ილია, ვაჟა, გალაკტიონი, აკაკი, სხვა დიდი მამულიშვილნი, ჩვენ დღეს ამოვიყვანეთ ადამიანი, რომელსაც დღეს ყველანი ვუნოდებთ და ათწლეულების წინ საქართველოს ტანჯულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უწოდა ქართული მუსიკის ექვთიმე თაყაიშვილი. და დღეს ექვთიმე თაყაიშვილთან და ამ დიდ მამულიშვილებთან ჩვენ ამოვიყვანეთ ბატონი ანზორი. ეს საღვთო განგებულებაა და ეს ქართველი ერის ნებაა! მთელი საქართველო ერთსულოვანია ამ გადაწყვეტილებაში!

და თავისი სიკვდილითაც მან, ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა, გენიალურმა მუსიკოსმა, ეპოქალურმა მოღვაწემ, თავისი სიკვდილითაც მან მარადისობის თანაზიარნი გაგვხადა, რადგანაც, დიახაც, ეს წამები, ეს წუთები, არის მარადისობასთან შეხვედრა, ქართველ მოღვაწეთა, მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწეთა დიდ თანავარსკვლავედს უერთდება დიდი მუსიკოსი, მუშაკი, არაერთი თაობის აღმზრდელი და მის, საქართველოსთვის დაღლილ და მაინც დაუღლელ სხეულს ჩვენ ვაბარებთ ამ წმინდა მიწას.

ამ მწუხარების ჟამს, მე, უბრალოდ, ერთი მინდა ვთქვა: გიხაროდეს საქართველო, რადგანაც შენ გყავს ანზორ ერქომაიშვილი! შენ არ დაგიკარგავს ანზორ ერქომაიშვილი! შენ გყავს ეს დიდი მოღვაწე და მისი ლოცვა, მისი საქმეები და მისი შემოქმედება მარად იქნება! მუდამ იქნება, ვიდრე იქნება ადამიანი, ვიდრე იქნება მუსიკა და ვიდრე იქნება საქართველო! მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის!

**გელა ფარჩუკიძე,** თბილისის ბავშვთა კაპელას ხელმძღვანელი:

– ანზორ ერქომაიშვილი ქართული ფოლკლორის ექვთიმე თაყაიშვილია. სახელი, რომელიც საუკუნეებს გადასწვდება. ათასობით ადამიანი ვერ ახერხებს სიტყვებით გადმოსცეს გულში ჩაბუდებული სევდა და ტკივილი. ასე ვარ მეც. მხოლოდ მინდა სრულიად საქართველოს მივუსამძიმრო ერის უსაყვარლესი და გამორჩეული შვილის გამო. მე კი მხოლოდ ჩემს წილ მადლობას ვეტყვი სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ კაცს. მადლობა ბატონო ანზორ, რომ სიცოცხლე საქართველოს აჩუქეთ. მადლობა, რომ ყველაფერი საქართველოს დაუტოვეთ. მათ შორის სახელი და გვარიც კი. მადლობა ქართული ხელოვნების წინაში განუზომლად დიდი ღვაწლისთვის. მადლობა სიბრძნისთვის, სიყვარულისთვის, ღიმილისთვის, კაცობისთვის, მადლობა იმისათვის, რომ თქვენი მეცნიერებითა და კეთილმოღვაწეობით ერისთვის მოიმუშაკეთ უზენაესი მადლი და ღვთაებრივი სხივით შემოსეთ „ქართული გენი ფოლკლორში განფენილი“. მადლობა ოსტატო, დიდოსტატო. აღალი იყოს ყველაფერი, რაც ერმა თქვენთვის გაიღო – სიყვარულიდან ცრემლებამდე, ალალი იყოს ქართული მიწა, რომელსაც აგრერიგად მოეფერეთ და გააცანით მსოფლიოს. მშვიდად მიეახლეთ თქვენს უდიდეს წინაპრებს: თქვენს ჯანოს, ბიძინას, სოსოს, ბუთხუზის, გიას და რაც მთავარია – იესოს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ქალმა მეუღლის სახელის წარმოთქმა ვერ ისწავლა და მეტსახელი დაარქვა

ამერიკელმა ქალმა, რომელიც შვედეთში გადავიდა საცხოვრებლად, სოციალურ ქსელებში აღიარა, რომ სამი წლის მანძილზე ვერაფრით ისწავლა თავისი შვედი მეუღლის სახელის წარმოთქმა და მას მეტსახელი შეარქვა. ქალი ამტკიცებს, რომ უხერხული მდგომარეობიდან თავის დაღწევას მხოლოდ იმ მეტსახელით ახერხებს, რომელიც თავად დაარქვა მეუღლეს. მისი თქმით, არა ერთი წელია, რაც ქმარს უბრალოდ „პაწიას“ ეძახის.

მის მიერვე გადაღებული ვიდეოს ბოლოს ქალმა სამჯერ სცადა მეუღლის სახელის „რაგნორის“ წარმოთქმა, მაგრამ ყოველ ჯერზე ან ასოებს ურევდა ან არარსებულ ასოებს ამატებდა.

აღნიშნულმა ვიდეომ 12 მილიონზე მეტი ნახვა და ორი მილიონი მოწონება მოაგროვა. ბევრმა მათგანმა კომენტარებში აღიარა, რომ თავადაც გადაწყდომიან მსგავს პრობლემას.

## მამაკაცმა მომგებიანი ბილეთი მანქანაში შეინახა და დაავიწყდა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ მეკანიკსვილის მკვიდრს ორი თვე მანქანის უჯრაში მომგებიანი ლატარიის ბილეთი ედო და არ იცოდა.

ფელტონ ლამპკინის თქმით, მან ორი თვის წინ შეიძინა ლატარიის ბილეთი, რომელმაც მსხვილი მოგება მოუტანა და ის საკუთარი ავტომობილის სალონის უჯრაში შეინახა.

მან ბილეთი შემთხვევით იპოვა, როდესაც მანქანის უჯრას ათვალიერებდა. კაცი გაოგნდა, როდესაც ბილეთი შეამოწმა და მიხვდა, რომ ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

– ჩემს ცოლს დავუძახე, რომ მოსულიყო და ენახა. დღემდე ვერ შევიგრძენი, თუ როგორ გამიმართლა! – განაცხადა ლამპკინმა, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გვარდიოლა: „უეფამ და ფიფამ ფეხბურთელები მოკლეს“



„მანჩესტერ სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ უეფა და ფიფა გააკრიტიკა მჭიდრო გრაფიკის გამო. როგორც ესპანელმა სპეციალისტმა განაცხადა, ფეხბურთელები მანქანები არ არიან და ფეხბურთის მმართველმა უწყებებმა ისინი მოკლეს.

– ფეხბურთელები ადამიანები არიან, ისინი მანქანები არ არიან. სეზონის დაწყებიდან დღემდე შუა კვირაში შესვენება არ გვქონია, ერთხელაც კი, ასეთი კვირა არ არსებობს. არ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც ამ ყველაფერს გაუძლებს, არა მარტო ფიზიკურად, არამედ მენტალურად, რათა მზად იყოს ყოველდღე მეტოქეებთან საბრძოლველად და თამაშის მოსაგებად – შეუძლებელია.

როდესაც როტაციას ვაკეთებ და ვიმარჯვებთ, გენიოსი ვარ, ხალხი ამბობს: „ბრავო პეპ“, მაგრამ როდესაც ვაგებთ, ხალხი ამბობს: „კი მაგრამ, რატომ შეცვალა შემადგენლობა?“ ამის მიუხედავად, მომავალ თამაშზე ცვლილებები იქნება, რადგან ახალი ძალით თამაშია საჭირო, – თქვა გვარდიოლამ.

# ესპანეთში დიაკაბის რასისტული შეურაცხყოფა მოაყენეს

4 აპრილს, ესპანეთის ლა ლიგის 29-ე ტურში, „კადისმა“ „ვალენსიას“ უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა.

შეხვედრის 29-ე წუთზე მასპინძელთა ფეხბურთელი კალა და „ვალენსიას“ მცველი დიაკაბი ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

როგორც გაირკვა, კამათის მიზეზი „კადისის“ მცველის მიერ რასისტული გამონათქვამები გახლდათ, რის გამოც მოედანზე დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა.

დიაკაბის დაწყნარებას მსაჯი და ფეხბურთელები ცდილობდნენ. ბოლოს კი ვალენსიას ფეხბურთელებმა მოედანი დატოვეს. შეხვედრა მოგვიანებით განახლდა.

## კალეიდოსკოპი

### ერთ ფუნტად შეძენილი წიგნი ათიათასობით ფუნტად შეაფასეს




ძალიან იაფად შეძენილი წიგნი ჰარი პოტერზე უიშვიათესი გამოცემა აღმოჩნდა, რომელიც ათიათასობით ფუნტ სტერლინგად ფასდება.

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემის მცხოვრებმა 31 წლის ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ მის აწ გარდაცვლილ დედას ძალიან უყვარდა კითხვა და ყოველთვის თვალს ადევნებდა იმას, რომ ბავშვებს წიგნები არ გადაეყარათ. მის მემკვიდრეობას შორის აღმოჩნდა წიგნი „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“, რომელიც მან 20 წლის წინ სასკოლო ბაზრობაზე ერთ ფუნტ სტერლინგად შეიძინა.

მისმა ოთხმა ქალიშვილმა გაარკვია, რომ მსოფლიოში ცნობილი ნაწარმოების უიშვიათესი გამოცემა იყო, ამ ტირაჟში დაახლოებით მხოლოდ 500 ასლი იყო. მსგავსი გამოცემა იდეალურ მდგომარეობაში ადრე აუქციონზე 68 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

ქალის შვილები აღნიშნულ წიგნს აუქციონზე გასაყიდად გაიტანენ. მოელიან, რომ მათი მოგება წიგნის გაყიდვიდან 20-30 ათასი ფუნტი იქნება და ამ თანხას ისინი ერთმანეთში გაიყოფენ.

### ერაყში დაიბადა ბავშვი ისტორიაში პირველი უნიკალური ანომალიით

ერაყში დაიბადა ბავშვი სამი პენისით. ეს უნიკალური ანომალია პირველად დაფიქსირდა მედიცინის ისტორიაში.

ეთნიკურად ქურთი ბავშვი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ დახუკში დაიბადა. მშობლებმა საავადმყოფოს მიმართეს, ისინი ფიქრობდნენ, რომ ბიჭს სიმსივნე ჰქონდა. თუმცა ექიმებმა ბავშვს ორი დამატებითი პენისი აღმოუჩინეს. ვინაიდან გენიტალიები ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული, ექიმებმა მათი მოშორების გადაწყვეტილება მიიღეს. ოპერაციიდან ერთი წლის შემდეგ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბავშვი ნორმალურად ვითარდება.

ექიმებმა საბოლოოდ ვერ შეძლეს ანომალიის მიზეზის დადგენა. მათ ივარაუდეს, რომ ფეხმძიმობის დროს ბავშვის დედა ნარკოტიკებს იღებდა ან მათ ოჯახში ადრე უკვე ჰქონდა ადგილი მსგავს მუტაციებს. თუმცა არც ერთი ეს ჰიპოთეზა არ დადასტურდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხუთიექვსი მილიონი ბიჭიდან ერთი ორი პენისით იბადება. სულ მსოფლიოში დაახლოებით ასი მსგავსი შემთხვევაა დაფიქსირებული. ექიმები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ ამ გენეტიკური ანომალიის მიზეზის ახსნას.

### ქალი ციხეში უკანონოდ გაკეთებული ნემსის გამო აღმოჩნდა

აშშ-ში ქალი ხუთი წლით ციხეში აღმოჩნდა იმის გამო, რომ თავის კლიენტს უკანონო კოსმეტიკური ინექცია გაუკეთა, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა. 49 წლის ქალაქ დალასის მკვიდრს ნიტიკ დეონტე ლის პატომრობა მიმდინარე წლის 1 აპრილს შეეფარდა, 2015 წელს ღამის კლუბის მოცეკვავის დაიშ ფილიპსის გარდაცვალების გამო. ლიმ 22 წლის კლიენტს თხევადი სილიკონის ნემსი დუნდულაში გაუკეთა. გოგონა ოთხი დღის შემდეგ იმის გამო გარდაიცვალა, რომ სილიკონი მის სისხლძარღვებში აღმოჩნდა და ფილტვებში გაიჭედა.

ლის, რომელსაც ადრე პატიმრობის ვადა ჰქონდა მოხდილი ძარცვისთვის, ფილიპსის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ წარედგინა ბრალდება. თუმცა ის ხუთი წლის განმავლობაში მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევას ახერხებდა. ამ დროის ნაწილი მას მექსიკაში ჰქონდა გატარებული. ის 2020 წლის ივლისში დალასის პოლიციამ დააპატიმრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# საქართველოს თასის 1/16-ფინალში გუნდები დაწყვილდნენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების 1/16-ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა და, შესაბამისად, ტურნირზე შემორჩენილი 32 გუნდი დაწყვილდა.

ამ ეტაპზე კრისტალბეთ ეროვნული ლიგისა და კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2-ის ოცივე მონაწილე და ასევე ლიგა 3-ის შვიდი, ლიგა 4-ის 3 და ორი რეგიონული ლიგის გუნდია. წილისყრის შედეგები ასეთია:

**„დიდუბე“ – „გორი“**
**„მაღაროელი“ – „სამგურალი“**
**„გურია“ – „ჩიხურა“**
**„საბურთალო 2“ – „გარეჯი“**
**„შუქურა“ – „დინამო თბილისი“**
**„სიონი“ – „სამტრედია“**
**„ვიტ ჯორჯია 2“ – „დილა“**
**„სამგურალი 2“ – „თელავი“**
**„ზესტაფონი“ – „არაგვი“**
**„გაგრა“ – „დინამო ზუგდიდი“**
**„დინამო თბილისი 2“ – „ვიტ ჯორჯია“**
**„მერანი“ (თბილისი) – „ლოკომოტივი“**
**„მერანი“ (მარტვილი) – „ტორპედო“**
**„რუსთავი“ – „დინამო ბათუმი“**
**„ლეგიონი“ – „შევარდენი“**
**„სპაერი“ – „საბურთალო“**

მატჩები 20-21 აპრილს გაიმართება.

# ხარაიშვილმა „ფერენცვაროშში“ პირველი გოლი გაიტანა

12 თებერვალს „გეტებორგიდან“ „ფერენცვაროშში“ გადასულმა 24 წლის ნახევარმცველმა გიორგი ხარაიშვილმა 4 აპრილს თავის ახალ გუნდში პირველი გოლი გაიტანა.

უნგრეთის ჩემპიონატის 27-ე ტურში „ფერენცვაროშმა“ 4:0 დაამარცხა „ბუდაფოკი“. გიორგი 71-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე, 90-ე წუთზე გოლი გაიტანა და საბოლოო ანგარიში დაა-ფიქსირა.

მან ბუდაპეშტურ გუნდში უნგრეთის პირველობაზე მეოთხე მატჩი ჩაატარა.

საქართველოს ნაკრებიდან დაბრუნებულ ლაშა დვალს მწვრთნელმა სერგეი რებროვმა დასვენების საშუალება მისცა – ის სათადარიგო იყო.

„ფერენცვაროში“ 64 ქულით ლიდერია, მეორეადგილოსან „პუშკაშს“ 16 ქულით უსწრებს და ამ გუნდს 10 აპრილს უმასპინძლებს.

# ლოჩოშვილი მოედნიდან გააძევეს

## მისი გუნდი 1:8 დამარცხდა

ავსტრიის ბუნდესლიგის 23-ე ტურში ძალიან ცუდი დღე ჰქონდა გურამ გიორბელიძისა და ლუკა ლოჩოშვილის „ვოლფსბერგერს“, რომელიც საკუთარ მოედანზე ვენის „რაპიდთან“ 1:8 განადგურდა.

ლოჩოშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ მხოლოდ 29 წუთი ითამაშა, რადგან გააძევეს. ლუკამ მეტოქის საჯარიმოში, მეტოქეს ფეხი კისერში ჩაარტყა და წითელი ბარათი მიიღო. სხვათა შორის, მიმდინარე სეზონში ლუკა უკვე მესამედ გააძევეს და სამივე შემთხვევაში პირდაპირ წითელი მიიღო. იმ დროს „ვოლფსბერგერი“ 0:1 მარცხდებოდა, ტაიმი კი 1:2 წააგო.

აი, მეორე ტაიმის სტარტზე მასპინძლებმა 4-წუთიან ინტერვალში 3 გოლი გაუშვეს და 1:5 ჩამორჩნენ. გურამ გიორბელიძე თამაშში სწორედ ამ დროს, 65-ე წუთზე ჩაერთო, თუმცა, გუნდს ვერაფერში დაეხმარა.

მეექვსე და მერვე გოლები საკუთარ კარში ჯონათან შერცერმა მიითვალა, რომელიც გურამის პირდაპირი კონკურენტია, რადგან მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობს და იქნებ, ახლა მისი ავოტოგოლების შემდეგ ჩვენებურს უფრო მეტი დრო მიეცეს...

ლოჩოშვილს მიმდინარე სეზონში ავსტრიის ბუნდესლიგაში 18 თამაშში 1 გოლი და 1 საგოლე პასი აქვს მითვლილი, ხოლო გიორბელიძე მოედანზე 7-ჯერ გამოჩნდა. ამას გარდა, ქართველებმა ევროპა ლიგაზეც ითამაშეს (ლუკამ 8 და გურამმა 3 თამაში).

„ვოლფსბერგერი“ ჩემპიონატში მე-6 ადგილზე იმყოფება.

# ოქრიაშვილმა ანგარიში გახსნა, მაგრამ ანორთოსისი ზედიზედ მესამედ დამარცხდა

კვიპროსის ჩემპიონატის 31-ე ტურში ქართველების „ანორთოსისი“ ლარნაკაში 1:2 დამარცხდა აეკ-თან.

მეორე წუთზე ანგარიში თორნიკე ოქრიაშვილმა გახსნა (ეს მიმდინარე სეზონში მისი მეშვიდე გოლია), მეორე ტაიმში კი ფამაგუსტური გუნდის დაცვამ შეცდომები დაუშვა და მეტოქემ ორი გოლი გაიტანა.

გიორგი ლორიამ, ოქრიაშვილმა და გიორგი ქვილითაიამ შეუცვლელად ითამაშეს, ხოლო ბუბა დაუშვილი სასტარტოში იყო და მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ 85-ე წუთზე შეცვალა.

„ანორთოსისმა“ ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა, ზედიზედ მეხუთე მატჩში ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება (ბოლოს 20 თებერვალს „დოქსას“ 1:0 მოუგო), 53 ქულით მეოთხე ადგილზეა და 10 აპრილს „აპოლონს“ შეხვდება.

ქართველების გუნდმა პრაქტიკულად დაკარგა სამეულში მოხვედრის შანსი და ევროტურნირებზე გასასვლელად თასი უნდა მოიგოს.

„ანორთოსისი“ 14 და 21 აპრილს ნახევარფინალში „აპოელს“ დაუპირისპირდება.

# გიორგი ქვილითაია პანათინაიკოსს შესთავაზეს

ბერძნული მედიის ცნობით, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელმაც საბერძნეთის ეროვნულ გუნდთან ითამაშა, „პანათინაიკოსს“ შესთავაზეს. გამოცემის მტკიცებით, ეს 27 წლის ტანმაღალი (193 სმ) თავდამსხმელი გიორგი ქვილითაიაა.

ქვილითაია „გენტიდან“ „ანორთოსისში“ იჯარითაა გაშვებული. ბელგიური კლუბი ქართველის დაბრუნებას არ აპირებს, თავად კვიპროსში დარჩენა არ სურს, მომავალი გაურკვეველია და მისი წარმომადგენლები ახალ კლუბს ეძებენ.

ქვილითაიამ ამ სეზონში ყველა ტურნირზე 27 მატჩში 15 გოლი გაიტანა და 2 საგოლე გადაცემა გააკეთა, „გენტთან“ კი კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულში უმთავრდება.

ის ამ კლუბმა 2018 წელს 3 მილიონ ევროდ შეიძინა.

## ჯოსვოიდი ბ



**შვეულად:** 1. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 3. რკინიგზის ლიანდაგის სიგრძის საზომი ერთეული; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 5. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 11. მაღაროს გასანათებელი ფარანი; 12. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 14. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 16. მწერალ კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 17. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 21. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 22. არეულობა, უწესრიგობა.

**თარაზულად:** 6. ჩინური ფაიფური; 7. ვოინიჩის რომანი; 8. პორტატული მფრინავი აპარატი; 9. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 10. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 13. არჩვის ძველი ქართული სახელწოდება; 15. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 18. ძვირფასი ავტომატური საწერი კალმების მწარმოებელი ფირმა; 20. ბრიტანული არაყი; 21. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 23. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯაკო; 2. ერი; 3. პერგამონი; 4. ქააბა; 5. სანახშო; 8. უშტი; 9. კატორღა; 10. კიმიგაიო; 12. ხანუკა; 13. ამანი; 15. სვანი.

**თარაზულად:** 1. ჯორჯაძე; 6. სერენადა; 7. კიური; 10. კეგლი; 11. სტეკა; 13. ატომი; 14. კასიო; 16. უშბა; 17. იორდანე; 18. ჩხეიძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დეფინიცია; 2. მისხალი; 3. პანეში; 4. ულუსი; 5. შტამბი; 11. ტუბერი; 12. ავანსი; 14. კალა; 16. სპაგეტი; 17. ფლუგერი; 19. ბულიმია; 21. შკოდა; 22. ჯეზვე.

**თარაზულად:** 6. მექანიკა; 7. ფალცეტი; 8. სარმა; 9. ენძელა; 10. შტატი; 13. ჭინკა; 15. უსახელაური; 18. ღირსება; 20. ლელა; 21. შულერი; 23. სიმპოზიუმი; 24. რონოდა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4173

ევრო — 4.0136

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7371

100 რუსული რუბლი — 4.4747

## ამინდის პროგნოზი 6 აპრილისათვის

## ენტონი მარსიალი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი ენტონი მარსიალი დიდი ალბათობით სეზონის ბოლომდე თამაშს ვერ შეძლებს, რადგან მას მყესი აწუხებს და, შესაძლოა, ოპერაციაც გახდეს საჭირო.

მარსიალმა ტრავმა საფრანგეთის ნაკრების თამაშის დროს მიიღო.

მისი ტრავმის შესახებ ოლე გუნარ სოლსკიაერმაც ისაუბრა:

— სამწუხაროა, რომ ენტონიმ ტრავმა მიიღო, რადგან ის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. იმედი მაქვს, რომ ის რაც შეიძლება მალე დაგვიბრუნდება.

## რეალს ვალვერდე ლივერპულთან არ ეყოლება

მადრიდის რეალი ლივერპულთან შეხვედრას დანაკლისით შეხვდება. ერთ-ერთი მთავარი დანაკლისი ურუგვაელი ნახევარმცველი ფედე ვალვერდეა, რომელიც უკვე 3 კვირაა არ თამაშობს და ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ის მოედანზე. შესაძლოა, ვალვერდე ლივერპულთან განმეორებით შეხვედრაში ვიხილოთ მინდორზე, თუმცა ეს ინფორმაცია ზუსტი არ არის.

## ჩელსიმ შესაძლოა კურტ ზუმა გაუშვას

ლონდონის ჩელსიმ შესაძლოა ცენტრალური მცველი კურტ ზუმა გაუშვას, რადგან ბოლო შეხვედრებში ის ცუდად თამაშობს და მას მედიაში ხშირად აკრიტიკებენ. კურტ ზუმა ჩელსიში 2015 წელს გადავიდა. მას შემდეგ ის რამდენჯერმე იყო განათხოვრებული და ჩელსიში 2018 წელს დაბრუნდა. ზუმა ხშირად თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში, თუმცა ლამპარდმა ის რამდენჯერმე გააკრიტიკა. კურტ ზუმას სატრანსფერო ფასი 30 მილიონია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

— თუ პრობლემები შეგექმნება, ჩემი ნომერი ხომ გაქვს?

— კი, მაქვს.

— წაშალე!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— იცი, წუხელ, ღამით, ძილში ჩემი ქმარი ვიღაც ლელას ეძახდა.

— მერე, რომ გაიღვიძებს, ჰკითხე.

— ველარ გაიღვიძებს.

●●●

დამლაგებელმა პოლიციაში საჩივარი შეიტანა გაუპატიურებაზე. პოლიციელი ეკითხება:

— ეგ როგორ მოხდა?

— კიბეებს ვალაგებდი, ის ნაძირალა უკნიდან მომეპარა და...!

— და გაქცევა არ შეგეძლო?

— სად უნდა გავქცეულიყავი? მარცხნივ კიბის მოაჯირი იყო, მარჯვნივ კედელი, უკან კი ის ნაძირალა...

— და წინ?

— წინ კიბეები უკვე მორეცხილი მქონდა!..

●●●

მოხუცი ინგლისელი ლორდი თავის კარის მსახურს ეკითხება:

— ბერიმორ, რას იცვამენ თანამედროვე გოგონები?

— პრაქტიკულად არაფერს, სერ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— წეღან სახლში დავრეკე და ვკითხულობ: „ეს შენ ხარ, საყვარელო?“

— მერე?

— ის კი მპასუხობს: „არა, შენი ცოლი ვარ!“...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნეკა სებისკვერაძის მშობლები კორონავირუსმა იმსხვერპლა

მომღერალ ნეკა სებისკვერაძის მშობლები კორონავირუსმა იმსხვერპლა. ორი კვირის ინტერვალით ნეკას ჯერ მამა გარდაეცვალა, შემდეგ კი დედა.

**გიორგი სუხიტაშვილი,** მომღერალი:

— საუკეთესო ადამიანს, საოცარ მეგობარს და ყველასთვის საყვარელ მომღერალს, ჩემს ნეკა სებისკვერაძეს კორონავირუსმა ორი კვირის ინტერვალში წაართვა ჯერ მამა, ჩემი უფროსი მეგობარი თემური ძია და შემდეგ დედა — მერიკო დეიდა. აი, ეს არის უმძიმესი გადასატანი ნეკასთვის და მისი ორი შვილისთვის, ვისთვისაც ბაბუა და ბებია იყო ყველაფერი. ვუსამძიმრებ ნეკას, თათოს და ნიკუშას ამ უდიდეს ტრაგედიას.

## თეა დარჩიამ ცეკვის სტუდია დაკეტა

მოცეკვავე თეა დარჩიამ ცეკვის სახელოსნო „თედასი“ დაკეტა:

— ჩემო უძვირფასესო მოსწავლეებო და მშობლებო, რომლებსაც გიყვარვართ და მენდობით! იძულებული გავხდი, რომ „თედასის“ მუშაობა დავაპაუზო აღდგომამდე, რადგან, ჩემთვის უპირატესი ბავშვების უსაფრთხოებაა! ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება! მაგრამ ეს, ჩემის აზრით, ერთადერთი გონივრული გამოსავალია! აღდგომის შემდეგ კი „თედასი“ გააგრძელებს მუშაობას უკვე ღია სივრცეზე, რეგულაციების დაცვით და უსაფრთხოდ! დაპაუზებული რეპეტიციები აღდგება და სამჯერადი რეპეტიციების ნაცვლად, ყოველდღიურ რეჟიმში, სუფთა ჰაერზე მზის სხივებ ქვეშ გავაგრძელებთ მუშაობას! მადლობა ყურადღებისთვის და იმ ნდობისთვის, რასაც თქვენ ჩემ მიმართ ავლენთ ყოველწუთიერად. მიყვარხართ და უსაზღვროდ მომენატრებით.

## „ფორმულა“ ახალ იუმორისტულ გადაცემას იწყებს

„ქალები“ — ასე ეწოდება ახალ იუმორისტულ შოუს, რომელსაც ტელეკომპანია „ფორმულა“ მაყურებელს 9 აპრილიდან შესთავაზებს.

ყოველ პარასკევ საღამოს გადაცემის 4 წამყვანი ქალი — ნანუკა გულუა, ალექსანდრა პაიჭაძე, სალომე შარვაძე და თეონა ლეჟავა „ფორმულაზე“ ყველაზე მხიარულ შოუს წარმოადგენენ.

გადაცემის სარეკლამო რგოლმა ათასობით მაყურებელში უამრავი მოწონება დაიმსახურა და თითოეულ წამყვანს წარმატება უსურვა.

## მარჯანიშვილისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრები დაიხურა

თბილისში მარჯანიშვილისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრები გახსნიდან მეორე დღეს დაიხურა.

გავრცელებული ინფორმაციით, ამის მიზეზი კორონავირუსია.

მარჯანიშვილის თეატრმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თეატრის მსახიობს დაუდასტურდა კონტაქტი კორონავირუსით ინფიცირებულთან, ამიტომ თეატრმა დახურვის გადაწყვეტილება მიიღო:

— სპექტაკლის „დანაშაული და სასჯელი“ მსახიობის კონტაქტს დაუდასტურდა კორონავირუსი. თეატრისა და მაყურებლის დაცვის მიზნით მსახიობი გადავიდა იზოლაციაში. 10 და 11 აპრილს დანიშნული პრემიერა „დანაშაული და სასჯელი“ ვერ შედგება. ამ რიცხვებში შეძენილი ბილეთების თანხის დაბრუნება მოხდება ერთი კვირის ვადაში. რაც შეეხება სპექტაკლის პრემიერას, ახალი განრიგი გამოცხადდება უახლოეს დღეებში, — ნათქვამია თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის განმარტებით კი:

— თეატრის თანამშრომლის კონტაქტს დაუდასტურდა კორონავირუსი. თქვენი უსაფრთხოების გამო დროებით შეჩერებულია სპექტაკლების ჩვენება. დეტალურ ინფორმაციას, თუ როდის განვაახლებთ მუშაობას, მოგაწვდით მოგვიანებით. მადლობა თანადგომისათვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## საზრიანმა გოგონამ სამი წლის ძმა გადაარჩინა

ამერიკის მენის შტატის ქალაქ ბიდეფორდში საზრიანმა გოგონამ გადაარჩინა თავისი სამი წლის ძმა, რომელმაც ელემენტი გადაყლაპა.

სამი წლის კოლტ მაკლეინი ხატვისთვის განკუთვნილი ელექტროპლანშეტით თამაშობდა.

მისმა პატარა დამ დედასთან მიირბინა და უთხრა, რომ მისმა ძმამ მონეტა გადაყლაპა.

ქალი მაშინვე მიხვდა, თუ რომელ მონეტაზე იყო ლაპარაკი. აღმოჩნდა, რომ ბავშვმა პლანშეტის ელემენტი გადაყლაპა. როგორც კი ის მიხვდა, თუ რაზე იყო საუბარი, მაშინვე ტოქსიკოლოგიური ცენტრის ექიმებს დაუკავშირდა. მათ ურჩიეს, რომ ბავშვისთვის ცოტა თაფლი მიეცა, რის შემდეგაც დედამ ბიჭი საავადმყოფოში წაიყვანა.

ბიჭმა საავადმყოფოში რამდენიმე დღე-ღამე გაატარა, მას ორი ქირურგიული ოპერაცია გაუკეთდა და რამდენჯერმე გააშუქეს რენტგენზე. ექიმებმა ბავშვის მიერ გადაყლაპული ელემენტი ამოიღეს. ბიჭი ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 6 აპრილისათვის

**ვერძი** — რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **კურო** — პასიურად ხართ. მოთმინება გმართებთ. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ტყუპები** — პოზიტიური პერიოდი გაქვთ. იდეების რეალიზაციაში ხელი არ გეშლებათ. მივლინებები, ქალაქგარეთ გასვლა რეკომენდებულია. **კირჩხიბი** — მრავალ ხელსაყრელ პროექტს დიდი ძალისხმევის გარეშე ხორცს შეასხამთ. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც ადრე დახმარების ხელი გამოგიწოდათ. **ლომი** — ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ქალწული** — თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **სასწორი** — მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **ღრიანკალი** — გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. დაისვენეთ და გაერთეთ. **მშვილდოსანი** — მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** — დეპრესიული პერიოდი გაქვთ. კარგი იქნება განმარტოება და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. **მერწყული** — მოვლენები თქვენთვის მოულოდნელი მიმართულებით განვითარდება. ძალზე ემოციური და დაძაბული დღეა. ემოციები მოთოკეთ. **თევზები** — მეგობრებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. მთავარია, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძლიერი ფიზიკური დაზიანებით გამოწვეული ფსიქიკური შერყევა, ფუნქციების მძიმე მოშლილობა; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 4. მეფის მეჯვარე ქორწილში; 5. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. მკბენარა მწერი; 9. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვაში; 10. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. თავად-აზნაურთა მემკვიდრეობითი წოდება ევროპაში; 15. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 1. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 6. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 7. უბანი თბილისში; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. ეკლესია-მონასტრებისთვის შემოწირულთა სარეგისტრაციო დავთარი ძველად; 13. ნიდერლანდური ყველი; 14. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 16. ორნახშირმჟავა-ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ქართული ძილისპირული; 18. იტალიელი მოდელიერი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*